მცხეთა-მთიანეთის რეგიონის
განვითარების სტრატეგია 2015-2021 წლებისთვის

შესავალი

სტრატეგიის მიზნებისთვის მცხეთა-მთიანეთის რეგიონად განიხილება ქ.მცხეთა, მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები და მისი საზღვრები ემთხვევა ამ მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიას. სტრატეგია ასახავს არსებულ ვითარებასა და იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება რეგიონის განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა.

სტრატეგიის შემუშავება მიზნად ისახავს მოცემულ რეგიონში არსებული პოტენციალის განსაზღვრასა და წინადადებების შეთავაზებას დროის გარკვეულ მონაკვეთში კონკრეტული შედეგების მისაღწევად:

- რეგიონში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
- ინვესტიციების წახალისება;
- რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- გარემოსა და ეკოლოგიური ბალანსის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება;
- სამხარეო და მუნიციპალური მმართველობისა და თვითმმართველობის სრულყოფა.

სტრატეგია მოიცავს ყველა იმ ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ პრიორიტეტს, რომელიც რეგიონის მასშტაბით არსებობს, ასევე ყველა იმ რესურსს, რომელიც ამ მიმართულებით იქნება გამოყენებული. სტრატეგია ასევე მოიცავს, ეკონომიკური, სოციალური და ბუნებრივი გარემოს განვითარების ამოცანებსა და პრიორიტეტებს.

სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობების, აგრეთვე სამოქალაქო სექტორისა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები.


მცხეთა-მთიანეთის რეგიონი
N

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის
განვითარების სტრატეგია 2015-2021 წლებისთვის

I. რეგიონის ზოგადი დახასიათება

- გეო-ეკონომიკური მდებარეობა
- მოსახლეობა (დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები)
- ეთნიკური უმცირესობები მუნიციპალიტეტებში
- რელიეფი, ჰიდროქსელი და კლიმატი

II. გარემოს დაცვა

- ატმოსფერული ჰაერი და წყალი
- ტყის ფონდი
- ბუნებრივი კატასტროფების მართვა
- ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები და კონსერვაცია
- გარემოსდაცვითი საქმიანობა და ნარჩენების მართვა
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

III. რეგიონის ეკონომიკური განვითარება

- შრომის ბაზარი
- რეგიონული ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა, მეწარმეობის განვითარება
- რესურსული (ბუნებრივი, ეკონომიკური) პოტენციალი
- ტურიზმი
- სოფლის მეურნეობა

IV. რეგიონის სოციალური განვითარება

- მოსახლეობის ცხოვრების დონე და სოციალური უზრუნველყოფა
- ჯანმრთელობის დაცვა
- განათლება
- კულტურა და სპორტი
- სამოქალაქო სექტორი და მედია
- გენდერული მაჩვენებლები
- იძულებით ადგილნაცვალი მოსახლეობა

V. ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

- გზები და ტრანსპორტი
- კომუნალური მომსახურებები
- კავშირგაბმულობა
- სახანძრო-სამაშველო სამსახური

VI. მუნიციპალური ხელისუფლება და რეგიონის მართვა

- რეგიონული ადმინისტრაცია

VII. ფაქტორული ანალიზი (SWOT)

VIII. რეგიონის განვითარების ხედვა, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და წინადადებები

I. რეგიონის ზოგადი დახასიათება

1.1 გეო-ეკონომიკური მდებარეობა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში. მისი ტერიტორიის საერთო ფართობია – 5,8 ათასი კვ.კმ. (საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 8,3%), ხოლო მოსახლეობა 2014 წლის მონაცემებით 94 370[1] კაცს (საქართველოს მოსახლეობის 2.53%); მოსახლეობის სიმჭიდროვე – 1 კვ. კმ-ზე 16,3 კაცი.

რეგიონი მოიცავს: დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებს, მისი ცენტრია ქალაქი მცხეთა, რომელიც საქართველოს უძველესი დედაქალაქი იყო და ამჟამად ქვეყნის მნიშვნელოვანი სასულიერო, კულტურული და ტურისტული ცენტრის ფუნქცია აქვს. მანძილი ცენტრსა და საქართველოს დედაქალაქს – თბილისს შორის 24 კილომეტრია.

რეგიონში არის ორი ქალაქი (მცხეთა, დუშეთი), ხუთი დაბა (ჟინვალი, ფასანაური, თიანეთი, სიონი, სტეფანწმინდა) და 483 სოფელი.

მცხეთა-მთიანეთს დასავლეთიდან ესაზღვრება შიდა ქართლის, აღმოსავლეთიდან კახეთის რეგიონები, სამხრეთიდან ქ. თბილისი და ქვემო ქართლის რეგიონი, ხოლო ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია (ჩრდ. ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი). დასავლეთის მხრიდან რეგიონს ასევე ესაზღვრება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ოკუპირებული ტერიტორია. ცალკეული სოფლები გამყოფი ხაზის მახლობლად მდებარეობენ, რაც სახელმწიფოს მხრიდან განსაკითრებული ყურადღების საგანია.

რეგიონი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობით გამოირჩევა (დედაქალაქთან საერთო საზღვარი, საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან) და შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურის (საქართველოს სამხედრო გზა, ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი) გამო, როგორც ისტორიულ კონტექსტში, ასევე დღესაც უაღრესად დიდ როლს თამაშობს. მისი სტრატეგიული პოზიცია კიდევ უფრო გაძლიერდება ამჟამად მშენებარე თიანეთი-ჟინვალის მაგისტრალით, რომელიც საგრძნობლად დაახლოვებს რუსეთის ბაზართან კახეთს (თიანეთი-ახმეტა-თელავი), ხოლო ყვარელი-ლაგოდეხის გავლით რეგიონს დააახლოვებს აზერბაიჯანთან.

1.2 მოსახლეობა (დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები)

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობა 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 94 370 კაცს. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის რაოდენობა 125 443

[1] აქ და შემდგომ ტექსტში ყველგან, თუ არ არის გაკეთებული სპეციალური მითითება, გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

კაცს შეადგენდა. 2002 წლიდან დღემდე მოსახლეობის რიცხოვნების კლების (-24,8%) ტენდენციით ხასიათდება, რაც სხვადასხვა მიზეზებით არის გამოწვეული. ანალოგიური მაჩვენებლები პროცენტულად კიდევ უფრო მაღალია მთიან და მაღალმთიან ტერიტორიებზე, საიდანაც მიგრაციას და დეპოპულაციის პროცესებს უკანასკნელი რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში შეუქცევადი ხასიათი აქვს.

მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება 2008 წელს წინა წელთან შედარებით (18 900 კაცით) 15,2%-ით გამოწვეულია აღნიშნულ პერიოდში მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილის თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცევით.

2010 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტი 10 400 კაცითაა გაზრდილი, რაც გამოწვეულია 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ახალგორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპაციით და იქ მცხოვრებთა ეთნიკურ ნიადაგზე დევნით, რამაც რეგიონის ტერიტორიაზე იძულებით ადგილნაცვალთა კომპაქტური ჩასახლებები გააჩინა (წეროვანი, ფრეზეთი, წინამძღვრიაანთკარი და ა.შ.). იძულებით გადაადგილებული პირები მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით 9%-ს შეადგენენ.

ცხრილი 1.

რეგიონის მოსახლეობის დინამიკა 2002-2014 წლები

	2002 (აღწ.)	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
მცხეთა-მთიანეთი (სულ)	125,4	124,1	105,2	105,2	108,8	109,3	109,7	108,9	108,8
მათ შორის: ქალაქი						26,7	27,1	26,9	
სოფელი						82,6	82,6	82,0	
დუშეთის მუნიციპალიტეტი	33,6	33,3	33,1	33,1	33,8	34,0	34,1	33.7	33.6
თიანეთის მუნიციპალიტეტი	14,0	13,3	13,1	13,1	13,2	13,1	13,1	12.9	12.9
მცხეთის მუნიციპალიტეტი და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტი	64,8	65,0	46,5	46,5	56,9	57,3	57,6	57.4	57.4
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	5,3	4,9	4,9	4,9	4,9	4,9	4,9	4.9	4.9

დღეისათვის, რეგიონის მოსახლეობის 40% მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობს, ხოლო ყველაზე ნაკლები, 5% - ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. რეგიონის მთლიან მოსახლეობაში სოფლად მცხოვრებთა ხვედრითი წილი 75%-ს შეადგენს.

რეგიონი გამოირჩევა მცირე მოსახლიანი სოფლების სიმრავლით. მთელს რეგიონში მხოლოდ ერთი სოფელია 5 000 მოსახლით (მცხეთის მუნიციპალიტეტის ს.მუხრანი), ისიც მცხეთის მუნიციპალიტეტში. რეგიონის

მასშტაბით 50 სოფელში ცხოვრობს 10-ზე ნაკლები კაცი, ხოლო 60-მდე სოფელი პრაქტიკულად მოსახლის გარეშეა დარჩენილი.

2002-2010 წლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაფიქსირდა ბუნებრივი მატების ზრდა. ამასთან, რეგიონში შობადობის კოეფიციენტი განუხრელად იზრდებოდა შესაბამისად 7,8-იდან 13,9 პრომილემდე.

ცხრილი 2.

შობადობა, მოკვდაობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატება მცხეთა-მთიანეთში

წლები	სულ, კაცი		მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით			
	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება (+) კლება (-)	შობადობა პრომილე	მოკვდაობა პრომილე	ბუნებრივი მატება (+) კლება (-)
2002	983	1434	-451	7,8	11,4	-3,6
2007	1258	1200	+58	10,1	9,7	+0,4
2008	1411	1242	+169	13,4	11,8	+1,6
2009	1465	1280	+185	13,9	12,2	+1,7
2010	1425	1366	+59	13,1	12,5	+0,6
2011	1364	1437	-73	12,4	13,1	-0,7
2012	1235	1513	- 278	11,25	13,79	-2,54
2013	1279	1418	-139	11,79	13,02	-1,23

2011 წლიდან კვლავ ფიქსირდება ბუნებრივი მატების კლება როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. გამომწვევი მიზეზები, საერთო სოციალურ სურათთან ერთად, აქაც სხვადასხვაა, მათ შორის ქორწინება-განქორწინების მაჩვენებლებიც, რომლებიც, იმავე პერიოდში, ქორწინებათა საერთო რიცხვის შემცირებით (გამონაკლისია 2013 წელი) და განქორწინების ზრდით ხასიათდება.

ცხრილი 3.

ქორწინება-განქორწინების დინამიკა

	2010			2011			2012			2013		
	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი

ქორწინებათა რაოდენობა	704	154	550	665	201	464	581	177	404	769	244	525
განქორწინებათა რაოდენობა	109	27	82	116	45	71	170	54	116	194	86	108

1.3 ეთნიკური უმცირესობები მუნიციპალიტეტში

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ძირითად მოსახლეობას ეთნიკურად ქართველები შეადგენენ. ეროვნული უმცირესობები (ოსები, რუსები, ასირიელები, სომხები) კომპაქტურადაა დასახლებული მცხეთის მუნიციპალიტეტის რიგ სოფლებში.

მცხეთის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე რეგისტრირებულია ოსი –834; აზერბაიჯანელი– 587; სომეხი –204; ასირიელი–1517; რუსი – 403.

დუშეთის მუნიციპალიტეტში გარდა ქართული მოსახლეობისა, ცხოვრობს : 65 –რუსი, 1577– ოსი, 11 –სომეხი, 6– აისორი, 12– აზერბაიჯანელი და 2 –ბერძენი.

თიანეთის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე რეგისტრირებულია: რუსი–30; ოსი–196; სომეხი –18; აზერბაიჯანელი –4; აისორი –16; ბერძენი–2;

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია : ოსი –60; სომეხი–5; აზერბაიჯანელი – 1;

1.4 რელიეფი, ჰიდროქსელი და კლიმატი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი არაერთგვაროვანი და, აქედან გამომდინარე, საკმაოდ სპეციფიკური რელიეფის მქონე ტერიტორიაა, რომლის 4/5-ზე მეტი მთიან და მაღალმთიან კატეგორიას განეკუთვნება. მასზე თანაბრად არის განფენილი, როგორც ცენტრალური კავკასიონის, ასევე მის გასწვრივ და განივად განლაგებული ქედები დიდი კავკასიონის როგორც სამხრეთ (უმეტესი ნაწილი), ასევე ჩრდილოეთ კალთაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე მხარის ოთხივე მუნიციპალიტეტი ხასიათდება კონკრეტული სპეციფიკაციით, რის გამოც ზოგადი სურათის შედგენა, ჩვენი შემთხვევისათვის, არასწორი იქნება.

რელიეფის თავისებურების შესაბამისია ჰიდროქსელი და კლიმატი, რაც ბევრად განსაზღვრავს როგორც მთლიანად რეგიონის, ასევე ცალკეული მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს.

ქალაქი მცხეთა და მცხეთის მუნიციპალიტეტი:

ტერიტორია - 805,5 კვ.კმ. მოსახლეობა - 57,4 ათასი მოსახლე (2013 წ. 1 იანვრის მდგომარეობით). მცხეთის ჩრდილო-დასავლეთის დიდი ნაწილის ვრცელი ფართობი მუხრან-საგურამოს ვაკეს უკავია. სამხრეთ ნაწილში წლევა-თხოთისა და სხალტბის ქედებია, აღმოსავლეთით ქართლისა და საგურამოს ქედების კალთები ეშვება. რელიეფი დაბალმთიანია.

ნიადაგი. მუხრან-საგურამოს ვაკეზე მდელოს ალუვიური, კარბონატული და მდელოს ყავისფერი ნიადაგებია. მდელოს ყავისფერი ნიადაგია, აგრეთვე, მტკვრისპირა ვაკეზე და თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთის მთისწინეთში.

ფართოდ არის გავრცელებული ტყის ყავისფერი ნიადაგი ქართლის, სხალტბის, საგურამოსა და თრიალეთის ქედებზე.

შიდა წყლები. მცხეთაში არის მდინარეები - მტკვარი, არაგვი, ნარეკვავი, ქსანი და თეზამი.

ჰავა. მცხეთა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქშია მოქცეული. ჰაერის საშუალო ტემპერატურაა +10,8-იდან +12°C-მდეა, იანვრის ტემპერატურა - 1,1°C, ივლისის +22,1°C. იცის ზომიერად ცივი ზამთარი (აბსოლუტური მინიმალური -29°C)და ხანგრძლივი ცხელი ზაფხული (აბსოლუტური მაქსიმალური +39°C), ნალექები – 590 მმ წელიწადში. სხალტბის, საგურამოს და ქართლის ქედებზე ზომიერად ნოტიო ჰავაა.

დუშეთის მუნიციპალიტეტი

ტერიტორია - დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია (საერთო ფართობი - 2981.5 კმ²; მოსახლეობა - 33.7 ათასი) განფენილია შიდა ქართლის ბარის ზოლის ჩრდილოეთ მონაკვეთსა და კავკასიონის წყალგამყოფი ქედის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე. სამხრეთით, ძირითადად, არაგვის აუზსა და, ასევე, ლაფანაანთკარისა და ნარეკვავის, ჩრდილოეთით კი - მდინარე ასას, შატილსა და მიღმახევის ხეობებში.

ნიადაგი. ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია ყომრალსა და ტყის ყავისფერ ნიადაგებს. ტყის ყავისფერ ნიადაგს ვხვდებით დაბალ ადგილებში. ბაზალეთის პლატოზე მცირედ გავრცელებულია შავმიწა ნიადაგი. შემაღლებულ ადგილებში საშუალო და მცირე სისქის ტყის ყომრალი ნიადაგებია ჩამოყალიბებული. ალაგ-ალაგ არის ნეშომპალა კარბონატული ნიადაგიც. ტყის ზონის ნიადაგებს ზემოთ ცვლის კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ნიადაგები.

შიდა წყლები. ჰიდროგრაფიული ქსელი მჭიდროა და წარმოდგენილია: მდინარეებით, ტბებით, მყინვარებითა და მიწისქვეშა წყლებით. არის როგორც მთის, ისე მთისწინეთისა და ბარის მდინარეები. გაფანტულია საკმაოდ ბევრი ტბა, რომელთა უმეტესობა მცირე ფართობისაა. მთავარ სამდინარო ქსელს ქმნის ოთხი არაგვი (მთიულეთ-გუდამაყრისა და ფშავ-ხევსურეთის), რომელთაგან უმთავრესია მთიულეთის არაგვი. დუშეთის მუნიციპალიტეტში აღსანიშნავია ასევე მთავარი ქედის ჩრდილო კალთის მდინარეები: არღუნი და ასა.

დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ტბებიდან მთავარია ბაზალეთისა და აბუდელაურის ტბები. მდინარე არაგვზე აგებულია ჟინვალის წყალსაცავი, რომლის სარკის ფართობია 11,5 კმ², მოცულობა 520 მლნ. მ³.

ჰავა. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ძირითადად 3 ტიპის ჰავა:

1. ზომიერად ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით;
2. ნოტიო ჰავა, ცივი ზამთრით და მოკლე გრილი ზაფხულით;
3. მაღალმთის ნოტიო ჰავა, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით.

ტერიტორიას ახასიათებს ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობა. ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე საშუალო წლიური ტემპერატურაა 9,7°, იანვრის -1,4°, ივლისის 20,4°, ნალექები 740 მმ წელიწადში.

მთებში ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ზომიერად ნოტიო ჰავაა, სადაც იცის საკმაოდ მკაცრი ზამთარი 1200-1600 მმ წლიური ნალექიანობით. 3300-3400 მ-ის ზემოთ ჩამოყალიბებულია მარად თოვლიან მყინვარებიანი ჰავა (ქედების თხემებზე).

თიანეთის მუნიციპალიტეტი

ტერიტორია - თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია (საერთო ფართობი - 906.3 კმ²; მოსახლეობა -12,9 ათასი) საშუალო-მაღალმთიანია. ტერიტორიის დიდი ნაწილი მაღლობებსა და მთისწინეთებს უკავია, მცირედ კი ჩადაბლებებს. თიანეთის მუნიციპალიტეტის რელიეფის უარყოფითი ფორმებიდან გამოსაყოფია თიანეთისა და ერწოს ქვაბულები.

ნიადაგი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება სხვადასხვა ტიპის ნიადაგები. მაღალ ადგილებში (ქედების კალთებზე) ჩამოყალიბებულია ტყის გაეწრებული და ყომრალი ნიადაგები, რომელსაც უფრო მაღლა კორდიანი და კორდიან ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგი ცვლის. მუნიციპალიტეტის დაბალ ადგილებში გავრცელებულია ტყის ყავისფერი ნიადაგები. ერწოსა და თიანეთის ქვაბულებში გავრცელებულია ალუვიური ნიადაგები. სიონის ქვაბულის ფსკერზეც ალუვიური ნიადაგია.

შიდა წყლები. მდ. იორი – იორის შენაკადები: მდ. ქუსნო, მდ. საგამი, მდ. ხაშრულა, მდ. ხათხაურა. მდინარეების საერთო სიგრძე დაახლოებით 420 კმ–ია, ასევე დ. სიონში არის ერთი ხელოვნური წყალსაცავი.

ჰავა. მუნიციპალიტეტის დაბალ ადგილებში ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და თბილი ზაფხული. ზღვის დონიდან 1000-1100 მ სიმაღლეზე ზომიერად ნოტიო ჰავაა, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა უდრის -4,1°, 4,7°. ზაფხულში კი შესაბამისად 18,3°, 18,5°. ნალექები 790 მმ-იდან 880 მმ-მდე. მაღალმთიანეთში მაღალმთის ზომიერად ნოტიო, ნამდვილ ზაფხულს მოკლებული ჰავაა. ივრის აუზში მკაფიოდ არის გამოხატული კლიმატის კონტინენტურობა და ამით იგი გამორჩეულია საქართველოს სხვა მდინარეთა აუზებისაგან.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

ტერიტორია - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორია (საერთო ფართობი – 1081.7 კმ²; მოსახლეობა - 4,9 ათასი) მაღალმთიან ხასიათს ატარებს. რელიეფი ძირითადად კლდოვანი და ძნელად მისადგომია. განვითარებულია ეროზიული, ვულკანური და ძველ მყინვარული რელიეფის ფორმები. სპორადულად გვხვდება კარსტიც.

ნიადაგი. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უკავია მთა-მდელოს კორდიან და პრიმიტიულ ნიადაგებს. ტყის ღია ყომრალი ნიადაგები გვხვდება მდინარე თერგისა და მის რამდენიმე შენაკადის ხეობაში. მდინარეთა ხეობების

ძირებზე არის ასევე ალუვიური ნიადაგი. მაღალმთიან ადგილებში ნიადაგი ტყის საფარს მოკლებულია. მთა მდელოს კორდიანი ნიადაგი ვრცელდება ზღვის დონიდან 1100 - 2600 მ-მდე.

შიდა წყლები. ჰიდროგრაფიული ქსელი ხშირია. მუნიციპალიტეტი მდიდარია მდინარეებით, ტბებით, მყინვარებითა და მინერალური წყაროებით. აქაური მდინარეები მოკლეა (თერგის გამოკლებით), თუმცა მათ სწრაფი დინება ახასიათებთ და გამჭვირვალე წყლით გამოირჩევიან. ზოგიერთ მდინარეზე გვხვდება საკმაოდ მაღალი და ლამაზი ჩანჩქერები.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ბევრია მინერალური წყაროებიც. არის დიდდებიტიანი წყლებიც. ბუნების ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვთ ჯვრის უღელტეხილის ტრავერტინებს, მდ.თრუსოს ხეობაში მდებარე ტრავერტინებსა და ქეთერისის მინერალური ტბის ვოკლუზს.

ჰავა. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია ჰავის სიმაღლებრივი ზონალობა: დაწყებული ზომიერ ნოტიოდან, დამთავრებული მაღალმთის ნოტიო მუდმივთოვლიანი ჰავით. ზღვის დონიდან 1740 მ-ზე იცის ზომიერად ნოტიო ჰავა, ცივი მშრალი ზამთარი და ხანგრძლივი გრილი ზაფხული, სადაც ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 4,9°, იანვრის -5,2°, ივლისის 14,4°, აბსოლუტურ მინიმუმი -34°. ნალექები დაახლ. 800 მმ წელიწადში.

ზღვის დონიდან 1970 მ-ზე საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის 3,5°, ნალექები 1160 მმ წელიწადში. ნალექების მაქსიმუმი მაისშია (147 მმ), მინიმუმი იანვარში (50 მმ). 2000 მ-ზე უფრო მაღლა ნამდვილ ზაფხულს მოკლებული ჰავაა.

3650 მ სიმაღლეზე საშუალო წლიური ტემპერატურაა -6,1°, იანვრის -15°. აბსოლუტური მინიმუმი - 42°. თოვლის საფრის ხანგრძლივობა 277 დღე.

II. რეგიონის სოციალური განვითარება

2.1 მოსახლეობის ცხოვრების დონე და სოციალური უზრუნველყოფა

2013 წელს რეგიონში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 6687 ადამიანი (რეგიონის მოსახლეობის 6,14%) შეადგენდა, რაც 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2100 ადამიანით აღემატებოდა. აქედან 3970 ადამიანი მსხვილ, 619 ადამიანი საშუალო, ხოლო 2097 ადამიანი მცირე საწარმოში იყო დასაქმებული.

დასაქმებულთა შრომის საშუალოთვიური ანაზღაურება 2013 წელს 775,0 ლარს შეადგენდა (ადგილობრივ კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან - 722,8 ლარი, უცხოელ/უცხოურ კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან - 1251,3 ლარი, რაც 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე პირველ შემთხვევაში 226,2 ლარით, ხოლო მეორე შემთხვევაში 346 ლარით მეტია. შრომის საშუალოთვიური ანაზღაურება 2013 წელს მსხვილ საწარმოებში 1045,0 ლარს, საშუალო საწარმოებში 497,9 ლარს, ხოლო მცირე საწარმოებში 294,7 ლარს შეადგენდა, რაც საქართველოს ერთიან საშუალო მაჩვენებელთან ახლოსაა (მსხვილ საწარმოებში სჭარბობს კიდეც).

რეგიონში საკმაოდ დაბალია ცხოვრების დონე. 2014 წელს სოციალურად დაუცველი რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობამ 9933 შეადგინა. რეგიონში ირიცხება საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღები 18,585 პირი, რაც მოსახლეობის 9,12%-ს შეადგენს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო პროცენტულ მაჩვენებელს (19,05%).

მძიმე სოციალური ვითარების ფონზე, რეგიონში მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის ფუნქციონირებს დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი და მცირე საოჯახო ტიპის სოციალური სახლები მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის დუშეთში, ს.წილკანსა და ს.გალავანში, მაგრამარ არის სოციალური სახლები მოხუცებისათვის აღსანიშნავია, რომ რეგიონი არ არის უზრუნველყოფილი შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურით რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სათანადო ინტეგრირებას.

2.2 ჯანმრთელობის დაცვა

რეგიონში მოქმედებს 4 საავადმყოფო, 27 ამბულატორია და 2 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი; რეგიონს ემსახურება 14 სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ბრიგადა, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, 2014 წელს გუდაურში დასრულდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (ტრავმული) ცენტრის მშენებლობა, თუმცა რეგიონის ბუნებრივი რელიეფის ხასიათიდან და განსახლების სპეციფიკურობიდან გამომდინარე გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სამედიცინო ვერტმფრენით მომსახურების საკითხის გაუმჯობესება.

რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე, სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია. ამასთან, შემოსავლების სიმწირის გამო, მოსახლეობა მწვავედ განიცდის სამედიცინო მომსახურების

ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემას. საავადმყოფოები მდებარეობს მუნიციპალურ ცენტრებში და ზამთრის პერიოდში, ცუდი კლიმატური პირობების გამო, მუნიციპალური ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობას სამედიცინო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით პრობლემები ექმნება. რეგიონის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები განიცდის მაღალკვალიფიციური კადრების უკმარისობას, განსაკუთრებით ვიწრო სპეციალობით, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამკურნალოდ გასვლას ქვეყნის სხვადასხვა კლინიკაში.

კერძო დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა რეგიონში ძალზე მცირეა. აქტუალურია სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომის პრობლემა. გაფართოებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობას საბაზისო სადაზღვევო პაკეტით, თუმცა, პრობლემის სრულად აღმოფხვრას ვერ უზრუნველყოფს.

2.3 განათლება

რეგიონში ფუნქციონირებს 86 საჯარო და 2 კერძო (მცხეთა, სტეფანწმინდა) სკოლა, რომლებშიც 11 525 მოსწავლე სწავლობს. აღსანიშნავია, რომ 2012/13 წლებში, 2014/15 წლებთან შედარებით, მოსწავლეთა რაოდენობა 377 მოსწავლით შემცირდა, რაც ზოგადი დემოგრაფიული და მზარდი მიგრაციული პროცესებით არის განპირობებული (განსაკუთრებით მთიან და მაღალმთიან ტერიტორიებზე). მოსწავლეების განათლებას ემსახურება 2141 პედაგოგი. მაღალმთიან სოფლებში, რიგ შემთხვევებში, ფუნქციონირებს დაწყებითი სკოლები, რის გამოც უფროსი ასაკის მოსწავლეებს უახლოეს საჯარო სკოლაში (ძირითადად, შესაბამის სათემო/მუნიციპალურ ცენტრში) უწევთ სიარული. მუნიციპალურ ცენტრებთან ახლოს მდებარე სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების ნაწილი მუნიციპალურ ცენტრში არსებულ სკოლაში სწავლას ამჯობინებს, რაც განპირობებულია უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ინფორმაციის მეტად ხელმისაწვდომობით, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სამუსიკო, სამხატვრო, სასპორტო და სხვ.) სიარულის სურვილით და ა.შ. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეებს მუნიციპალურ ცენტრებში გადასაადგილებლად ემსახურება სასკოლო ავტობუსები. თუმცა, არის სოფლები, სადაც ბავშვებს სკოლებამდე რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა უწევთ; აღნიშნულიდან გამომდინარე მთიანი რეგიონებისათვის კვლავაც აქტუალურია სკოლა-ინტერნატის/პანსიონის აუცილებლობა (მაგალითისათვის, ბარისახოს სკოლა-ინტერნატი, რომელსაც დღესაც ბევრი პრობლემა აქვს, პრაქტიკულად ინარჩუნებს მოსახლეობას ამ ისტორიულ თემში).

უკანასკნელ წლებში თითქმის ყველა საჯარო სკოლაში განხორციელდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, მცხეთის რაიონში აშენდა 2ახალი სკოლა. სკოლების დიდი ნაწილი აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით და ჩაერთო ინტერნეტის ქსელში. თუმცა, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვლავაც სერიოზული ზრუნვის საგანი უნდა იყოს როგორც მუნიციპალიტეტების, ასევე სამინისტროს მხრიდან.

რეგიონში მუნიციპალურ დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს 59 საბავშვო ბაღი, სადაც 2743 ბავშვს ემსახურება 771 პედაგოგი და ტექნიკური პერსონალი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების უმრავლესობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არადამაკმაყოფილებელია.

რეგიონში არ მოქმედებს არც ერთი საჯარო ან კერძო უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. მიმდინარეობს სამუშაოები წინამძღვრიაანთკარის საჯარო კოლეჯის რეაბილიტაცია-აღდგენისათვის. აქტუალურია ისეთი სასწავლო ცენტრების ჩამოყალიბება, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა მიმართულებით მოკლევადიანი პროგრამებით პროფესიული კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება.

2.4 კულტურა და სპორტი

მცხეთის მუნიციპალალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 3 კულტურის სახლი: მუხრანის (სარემონტო); წილკნის (ავარიული); ძალისის (გადაეცა ეკლესიას) და 3 სოფლის კლუბი (ნატახტარი, საგურამო, ქსანი).

თითოეული მათგანი საჭიროებს რეაბილიტაციას, ან ფინანსურ მხარდაჭერას, ვინაიდან მათი სრულყოფილი მუშაობისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც აპარატურის შეძენა–განახლება, ასევე არსებული ტექნიკის მოვლა–პატრონობა. ყოველ მათგანში ფუნქციონირებს ხელოვნების სხვადასხვა წრეები. მიუხედავად ამისა, მცხეთის მუნიციპალიტეტი აშკარად განიცდის კულტურული დაწესებულებების სიმცირეს, (არ არის თეატრი, კინო–კლუბები; მხოლოდ 11 ბიბლიოთეკა და 2 სახლ-მუზეუმი, სადაც მნახველისა და მკითხველისათვის ელემენტარული პირობები ძლივს არის შექმნილი). ყოველივე აღნიშნული ქმნის საჭიროებას, კიდევ უფრო მეტად შეეწყოს ხელი ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას და ძველის რეაბილიტაციას.

ამ ეტაპზე, ძალისის, წილკნის, ძეგვის, საგურამოს და ქ. მცხეთის სპორტულ–კომპლექსში ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული წრეები (ჭიდაობა, ძიუდო, კარატე, ველო–სპორტი, ნიჩბოსნობა, კრივი). მსგავსი წრეები ფუნქციონირებს მუხრანის საჯარო სკოლის საჭიდაო დარბაზში, სასურველია სოფელში აშენდეს სპორტ–სკოლა, რადგან ამ მხრივ მოსახლეობის მოთხოვნა დიდია.

დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებობს რამდენიმე კულტურის სახლი (ქ. დუშეთში, დაბა ჟინვალში, დაბა ფასანაურსა და სოფ. ქვეშეთში) და მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, იგეგმება კინოჩვენებები (შესაბამისი აპარატურა მუნიციპალიტეტს კულტურის სამინისტრომ გადასცა). მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მხოლოდ 4 ბიბლიოთეკა და 5 სახლ-მუზეუმი.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჟინვალის კულტურის სახლთან არსებული ხალხურ საკრავთა ანსამბლი ,,მამული“, დუშეთის კულტურის სახლთან არსებული ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი ,,ფესვები“ და ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი ,,არაგველები“, 2014 წელს ანსამბლ ,,ქალილოს“ ქორეოგრაფიული ჯგუფიც დაემატა. არსებობის ხანგრძლივი და საინტერესო

ისტორია აქვს დუშეთის სახალხო თეატრს. ცოტა ხნის წინ მუნიციპალიტეტში საბავშო თეატრიც ჩამოყალიბდა.

რაც შეეხება სპორტის განვითარებას, 2013 წელს შეიქმნა საფეხბურთო კლუბი ,,არაგვი", ამავე წელს ჩამოყალიბდა ძალოსნობის ჯგუფი. ქ. დუშეთში წარმატებით ფუნქციონირებს სპორტული სკოლა შესაბამისი სპორტული დარბაზით. მიმდინარე წელს ჭიდაობის დარბაზი გაიხსნა სოფ. ქვეშეთში. მსგავსი დარბაზების შექმნის საჭიროება არსებობს მუნიციპალიტეტის სხვა ადგილებშიც (დ. ჟინვალში, სოფ. მჭადიჯვარში, სოფ. ბაზალეთში, სოფ. ბულაჩაურში, სოფ. ჭოპორტში).

თიანეთის მუნიციპალიტეტში არსებულ კულტურის სახლში (დ. თიანეთი) ფუნქციონირებს ხელოვნების დარგის სხვადასხვა (ფოლკლორის, მხატვრული კითხვის, სამეჯლისო და ქართული ხალხური ცეკვის) წრეები, 2014 წელს კი შეიქმნა საესტრადო სიმღერის წრე და შესაბამისად ჩამოყალიბდა საესტრადო სიმღერის ჯგუფიც. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 ბიბლიოთეკა და 2 სახლ-მუზეუმი.

მიუხედავად ამისა, თიანეთის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებით განიცდის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის დეფიციტს (კინო, თეატრი, სპორტული დარბაზი), რაც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ახალგაზრდობის მიერ სოფლის დატოვების მიზეზს. გარდა ამისა, თიანეთის მუნიციპალიტეტში თითქმის არ არსებობს არცერთი გასართობი დაწესებულება (გასართობი კლუბი, კაფე–ბარი, ინტერნეტკლუბი), სადაც ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ თავისუფალი დრო სასიამოვნო გარემოში გაატარონ.

დ. თიანეთში არსებობს 1 სპორტულისკოლა, (ფილიალი – სოფ, საყდრიონში) სადაც ფუნქციონირებს კალათბურთის, ფეხბურთის და ჭიდაობის სპორტული წრეები. 2014 წელს გაიხსნა აგრეთვე, კარატეს წრე, დაფუძნდა რაგბის კლუბი და შეიქმნა გუნდი. (თიანეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით შექმნილია შპს „სპორტულ–გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელიც დაბა სიონში ფუნქციონირებს და იქ არსებული ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით.)

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარების ხელისშემშლელ პრობლემას ძირითადად კულტურის სახლის არარსებობა წარმოადგენს. შესაბამისად, ვერ ხდება იმ ღონისძიებების მაშტაბურად და ხარისხიანად ჩატარება, რაც ხელს შეუწყობდა ყაზბეგში კულტურული ცხოვრების განვითარებას. ამინდს ვერ ცვლის მხოლოდ 3 ბიბლიოთეკა და 1 სახლ-მუზეუმი. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტი არის საზღვრისპირა რაიონი და ამ მხრივ არსებული პრობლემა ხელს უწყობს ახალგაზრდობის გადინებას მუნიციპალიტეტიდან.

2012 წელს გამგეობის დაფინანსებით, შეიქმნა ვაჟთა გუნდი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ყაზბეგის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლში ქორეოგრაფიული ანსამბლების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით

მუნიციპალიტეტში არსებობს მხოლოდ ერთი სპორტული სკოლა (დ. სტეფანწმინდაში), სადაც ფუნქციონირებს ჭიდაობის, რაგბის, სამთო–

სათხილამურო და მეკლდეურობის სპორტული წრეები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ადგილობრივ ახალგაზრდულ წრეებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სამთო–სათხილამურო სპორტი, რომლის განვითარების ხელშეწყობა, კიდევ უფრო გაზრდის სპორტული ცხოვრების მსურველთა რიგებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. ამისთვის კი აუცილებელია კიდევ მეტად მოხდეს სამთო-სათხილამურო ტრასების განვითარება და სპორტის მოყვარულთათვის შესაბამისი ინვენტარის შეძენა.

კულტურული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად გასულ წელთან შედარებით 2014 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა თითქმის გაორმაგებულია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გაჩნდა მოთხოვნა კიდევ უფრო განვითარდეს და რაც შეიძლება მაღალ დონეზე ჩატარდეს კულტურული და სპორტული ღონისძიები და მეტად იქნეს ჩართული მასში როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე, მოწვეული სტუმრები.

რეგიონში დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად დიდი მნიშვმელობა აქვს მიზანმიმართული ახალგაზრდული პოლიტიკის გატარებას, რაც გულისხმობს ახალგაზრდობის დასაქმების, მისი გართობა-დასვენებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას, ახალგაზრდული ცენტრებისა და ორგანიზაციების შექმნისა და მუშაობისათვის ხელშეწყობას სახელმწიფოს მხრიდან. სხვაგვარად ვერ იქნება აცილებული ახალგაზრდობის რეგიონიდან გადინებისა და სოფლის მოსახლეობის „გადაბერების“ ტენდენციები, რაც დამახასიათებელია თანამედროვე ურბანული პროცესებისათვის.

2.5 სამოქალაქო სექტორი და მედია

ქალაქ მცხეთისა და მცხეთის მუნიციპალიპალიტეტებში არ ფუნქციონირებს არცერთი მედია საშუალება. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი გამგეობის მუშაობის პროცესში, სისტემატურად ხდება მათი წარმომადგენელთა დასწრება საკრებულოს სხდომებსა თუ შეხვედრებზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქვს ყოველთვიური ბეჭდვითი ორგანო ,,დუშეთის მაცნე'' (რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება). გაზეთი აქტიურად აშუქებს მუნიციპალიტეტში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან ფაქტს თუ მოვლენას. რაც შეეხება ისეთ ოფიციალურ ინფორმაციას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, გამგეობის ვებ–გვერდის (duseti.org.ge) საშუალებით ყველასათვის არის ხელმისაწვდომი.

ფინანსური პრობლემების გამო, დამოუკიდებელი ტელევიზიის მაუყწყებლობა შეწყვეტილია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულნი მუნიციპალიტეტის განვითარებაში.

თიანეთის მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ადგილობრივი მედია საშუალება, რაც შეეხება პრესის გამოცემას, 2013 წელს დაბაში შეიქმნა ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის გაზეთი „თიანეთის მომავალი“, რომელი გამოიცემა

2 კვირაში ერთხელ და ასახავს მუნიციპალიტეტში მიმდანარე ყველა თემატიკას. მისი გავრცელების არიალი მოიცავს მთელ მუნიციპალიტეტს.

თიანეთის მუნიციპალიტეტის განვითარების საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს არცერთი ადგილობრივი მედია საშუალება, თუმცა ამ მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა დიდია.

2.6 გენდერული მაჩვენებლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულია დაახლოებით 52,4% მამაკაცი და 47,6% ქალი. შესაბამისად გენდერული თანასწორობა მუნიციპალიტეტში თითქმის თანაბარია.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებულ ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: გამგეობა - 43 მამაკაცი, 45 ქალი, საკრებულო - 4 ქალი, 29 მამაკაცი.; ქალთა უმრავლესობა დაბალ თანამდებობრივ საფეხურზეა დასაქმებული. ზოგადად, ქალთა ჩართულობა მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საქმიანობაში, სოციალურ საკითხებზეა დამოკიდებული.

თიანეთის მუნიციპალიტეტში, კერძო სექტორში დასაქმებულია 215 ქალი და 44 კაცი, ხოლო საჯარო სექტორში კი 320- ქალი და 160 კაცი; აღსანიშნავია, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტს ხელმძღვანელობს პირდაპირი არჩევნებით არჩეული ერთადერთი ქალი გამგებელი. გენდერული თანასწორობის დაცვის მიმართულებით ერთერთი მნიშვნელოვანი როლი უჭირავს მოსახლეობის პროფესიული გადამზადების ხელშეწყობას და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სახელობო პროფესიული სასწავლებლის დაარსებას მუნიციპალიტეტში.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს: ქალი – 505; მამაკაცი – 245; ყაზბეგის მუნიციპალიტეტში გენდერული მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ დასაქმებულთა შორის უმეტესი ნაწილი ქალებს უკავია.

გენდერული ბალანსის დაცვის მიზნით, საჭიროა ადგილობრივ თვითმმართველობებში ჩამოყალიბდეს გენდერულ საკითხებზე მომუშავე მუდმივი სტრუქტურები, რომლებიც შეიმუშავებენ სამოქმედო გეგმას ქალთა დასაქმების, კარიერული წინსვლისა და გენდერული თანასწორობის მისაღწევად. მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებში, პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, თვითმმართველობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება. აუცილებელია მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების დანერგვა იმისათვის, რომ ორივე სქესის პრობლემებზე, შესაძლებლობებსა და მიზნებზე, მუშაობა თანაბარი შესაძლებლობებით მოხდეს და გათვალისწინებულ იქნას გენდერული თვალსაზრისით აქტუალური ხარჯები. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტების სტრატეგიულ გეგმებში გენდერული თვალსაზრისით თ პრობლემური

საკითხების გათვალისწინება ადგილობრივი თემებში ქალების მონაწილეობის გააქტიურება.

2.7 იძულებით ადგილნაცვალი მოსახლეობა

მცხეთის მუნიციპალიტეტში იძულებით გადაადგილებული პირების (რაოდენობა ქ. მცხეთის ჩათვლით შეადგენს 10 375 პირს) სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა მათი დასაქმება არც თუ ისე მაღალია, აღნიშნული პროცესი მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში ხორციელდება. საქართველოს მთავრობის განკარგულებებით მცხეთის მუნიციპალიტეისთვის გამოყოფილი თანხიდან, დევნილი მოსახლეობისთვის სოფელ წეროვანში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შენდება ახალგაზრდობის სახლი, ხოლო, სოფელ წილკანში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში –საბავშვო ბაღი. რაც შეეხება ეკომიგრაციას, მცხეთის მუნიციპალიტეტში 2013–2014წწ. ეკომიგრაცია არ ფიქსირდება.

დუშეთის მუნიციპალიტეტი. ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის პანსიონატში ცხოვრობს 349 დევნილი, მათგან 45 ოჯახი არის სოციალურად დაუცველი. გარდა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიღებული დახმარებებისა, ყველა დევნილის კომუნალურ ხარჯს ანაზღაურებს ადგილობრივი გამგეობა. შეძლებისდაგვარად ხდება მათი დასაქმება ადგილობრივ სტრუქტურებში,.

რაც შეეხება ეკომიგრაციას, დუშეთის მუნიციპალიტეტის მეწყერსაშიშ ზონაში (მლეთა, ვეძათხევი, შარახევი) ცხოვრობენ ოჯახები, რომელთაც სასწრაფოდ ესაჭიროებათ განსახლება.

თიანეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 15 ადგილნაცვალი პირი, მათი სოციალურ– ეკონომიკური მდგომარეობა საშუალოა, სხვადასხვა სექტორში დასაქმებულია მხოლოდ რამოდენიმე მათგანი. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დახმარების გაწევა ხდება დევნილთა მოთხოვნისა და ადგლობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობის ფარგლებში. ეკომიგრაციას თიანეთის მუნიციპალიტეტში ადგილი არ აქვს.

III. რეგიონის ეკონომიკური განვითარება

3.1 შრომის ბაზარი

დასაქმების პრობლემა კვლავ აქტუალურია, როგორც საქართველოს ასევე მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის. უმუშევრობის დონე საქართველოს მასშტაბით 14.6%-ს აღწევს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კი 6.7%-ია, რაც 2011 წელთან შედარებით 0,4%-ით არის შემცირებული. დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა 2010-2013 წლებში 4587-დან 6687 კაცამდე გაიზარდა; ხოლო მათი საშუალოთვიური ანაზღაურება იმავე პერიოდში 518,4-დან 775 ლარამდე გაიზარდა. უმუშევრობის დაბალი დონე მთლიანად საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით განპირობებულია იმით, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოსახლეობა ძირითადად თვითდასაქმებულია საკუთარ მეურნეობებში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში ერთადაა მოცემული მცხეთა-მთიანეთის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მაჩვენებლები. ვინაიდან მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა თითქმის იდენტურია აღნიშნულ რეგიონებში, პროცენტული მაჩვენებლები შეიძლება განზოგადდეს მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე.

ცხრილი 3

მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით 2006-2013 წ.წ. (ათასი კაცი)

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საქართველო								
უმუშევრობის დონე, %	13,6	13,3	16,5	16,9	16,3	15,1	15.0	14.6
აქტიურობის დონე, %	62,2	63,3	62,6	63,6	64,2	65,2	66.9	66.2
დასაქმების დონე, %	53,8	54,9	52,3	52,9	53,8	55,4	56.8	56.6
მცხეთა-მთიანეთი								
უმუშევრობის დონე, %	6,4	6,5	8,0	8,3	8,9	7,1	7.5	6.7
აქტიურობის დონე, %	73,4	75,0	72,8	73,0	71,5	70,6	72.9	72.5
დასაქმების დონე, %	68,7	70,1	67,0	67,0	65,1	65,6	67.4	67.7

ტრადიციულად, დასაქმებულებში მნიშვნელოვნად ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეწევა შრომით საქმიანობას საკუთარ მეურნეობაში.

დასაქმების დაბალი დონე დაკავშირებულია სამუშაო ადგილების სიმცირესთან. უმუშევრობას ხელს უწყობს, აგრეთვე, კვალიფიციური კადრების დეფიციტი. რეგიონშიAდღემდე არ არის არცერთი უმაღლესი სასწავლებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილზე პროფესიული მომზადების სასწავლებლების არსებობა, რისთვისაც 2014 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2014 წელს აღდგენილ იქნა ილია წინამძღვრიშვილის სახელობის პროფესიული კოლეჯი ქ.მცხეთაში.

3.2. რეგიონული ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა, მეწარმეობის განვითარება

პროდუქციის გამოშვება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2013 წელს 251,3 მლნ. ლარით აღემატებოდა 2010 წელს გამოშვებულ პროდუქციას. პროდუქციის გამოშვებამ, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, შეადგინა 454.5 მილიონი ლარი,

დიაგრამა 1



მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ხვედრითი წილი გამომუშავებული პროდუქციიდან ძირითადათ მრეწველობაზე მოდის, შემდეგ მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, კავშირგაბმულობა და ასე შემდეგ. სამრეწველო საწარმოებიდან გამოირჩევა ლუდსახარში „ნატახტარი“,ლუდსახარში „ზედაზენი“, „აქვა გეო“, „შატო მუხრანი“, ქსნის მინის ქარხანა, „ბარამბო“, ქაღალდის წარმოების ქარხანა და სხვა

სულ საქართველოსა და მათ შორის მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობების მაჩვენებელი მიუთითებს, რომ 2006-2012 წლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ამ მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა 2012 წელს, მინიმალური მნიშვნელობა კი 2006 წელს.

2012 წელს შეადგინა 1337,1 მლ.ლარი. რაც 563,54 მლ.ლარით მეტია 2006 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. საქართველოს დამატებული ღირებულების მოცულობა 2006-2010 წლებში იზრდებოდა და 2010 წელს მაქსიმალურ მნიშვნელობას 6703,2 მლ.ლარს მიაღწია. სამწუხაროდ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მონაცემები ერთად არის მოცემული, რაც არ იძლევა საშუალებას ძირეულად გავაკეთოთ ანალიზი და ზუსტად დავთვალოთ მცხეთა-მთიანეთში წარმოებული პროდუქციის დამატებითი ღირებულების გადასახადი.

დიაგრამა 2

დამატებული ღირებულების მოცულობა 2010–2012 წ.წ.
(დამატებული ღირებულება მილიონ ლარებში)



მთლიანი დამატებული ღირებულების უდიდესი წილი რეგიონის მიხედვით მოდის: **მრეწველობაზე, სახლმწიფო მმართველობაზე, სოფლის მეურნეობაზე, მეთევზეობაზე,** ნადირობასა და სატყეო მეურნეობებზე.

რეგიონის ეკონომიკის განვითარებას ხელს უშლის სათანადო ბაზრის უქონლობა, რაც განპირობებულია რიგი ფაქტორებით:

- მოსახლეობაში ნაკლები ინფორმირებულობა და ინფორმაციის დეფიციტი თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, მოსახლეობაში თანამედროვე სამეწარმეო უნარ–ჩვევების ნაკლებობა და სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერა;
- პროდუქციის დისტრიბუციის სირთულეები;
- პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის დაბალი დონე და გადამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა; თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა;
- ბიზნესის ნაკლები ხელმისაწვდომობა სადაზღვევო პაკეტებზე;

მრეწველობის ზოგადი დახასიათება

წელი	საწარმოთა ბრუნვა/მლნ ლარი/	დასაქმებულთა რიცხვი /კაცი/	დაქირავებულთა რიცხვი /კაცი/	შრომითი დანახარჯი /მლნ ლარი/	საშ.თვიური შრომის ანაზღაურება /ლარი/
2010	204.0	4587	4279	27.7	518.4
2011	207,2	2188	2136	25.7	921.9
2012	311.8	2820	2799	29,7	867.8
2013	327.3	2739	2683	34.5	1058,2

საწარმოთა ბრუნვამ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია 2013 წელს - 327.3მლნ.ლარი, 2010 წლიდან უკვე აღინიშნება საწარმოთა ბრუნვის ზრდის ტენდენცია, ეს ის პერიოდია, როცა აქტიურად გამოდის ბაზარზე „ბარამბო“, ნატახტარი“.

დიაგრამა 3

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში მლნ.ლ



რეგიონის ძირითად საწარმოებს აქვთ მოთხოვნა სახელმწიფოს მიერ კვების სფეროში რეგულირების სტანდარტების დაწესების. ყველა საწარმო აღჭურვილია ევროკავშირის შესაბამისი ტექნიკით, ყველას წარდგენილი აქვს ISO-ს ხარისხის სერტიფიკატზე განაცხადი.

3.3 რესურსული (ბუნებრივი, ეკონომიკური) პოტენციალი

ბიზნეს რეგისტრის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2011 წლის 11 სექტემბრის მდგომარეობით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში რეგისტრირებული იყო 7974 სუბიექტი, რაც საქართველოში რეგისტრირებულ სუბიექტთა მთლიანი რაოდენობის 2,1%-ს შეადგენს.

რეგიონის საწარმოო სტრუქტურის ფორმირება, მისი სამეურნეო სპეციალიზაცია, ისევე როგორც მის ტერიტორიაზე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების განლაგება და მეურნეობის დარგების სივრცითი განაწილების კანონზომიერება, ბევრადაა დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე. მათ შორის უმნიშვნლოვანესთ რიგს განეკუთვნება: გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფის ხასიათი, ენერგეტიკული და სამთო-მინერალური სიმდიდრეების რაოდენობა და მათი საწარმოო მნიშვნელობა, ნიადაგ-კლიმატური რესურსების ხასიათი, მიწის ფონდი, ბიორესურსები და ა.შ.

რეგიონის სამეურნეო განვითარების ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელი, მისი რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეგიონის მეურნეობის სახეს და განვითარების დონეს; ხელს უშლის მეურნეობის დარგების ინტენსიურ განვითარებას, რაციონალურ განსახლებას, სატრანსპორტო გადაადგილებების სრულყოფას.

მართალია რეგიონის ბუნებრივი კომპლექსი, მთლიანად, არ ქმნის მეურნეობის განლაგება-განვითარებისა და მოსახლეობის განსახლებისათვის ხელსაყრელ პირობებს, მაგრამ სწორედ ამ ბუნებრივი კომპლექსის წყალობით, რეგიონს გააჩნია რიგი უპირატესობანი, რისი მაქსიმალური ამოქმედებისა და გამოყენების ამოცანაც არის დღეისთვის გადასაჭრელი.

რეგიონის ბუნებრივ კომპლექსთან, განსაკუთრებით მის მთიანობასა და მაღალმთიანობასთან არის დაკავშირებული რიგი დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც არსებით როლს თამაშობენ:

ა. სასარგებლო სამიწათმოქმედო ფართობთა სიმცირე;

ბ. დამუშავებული ფართობების მცირე კონტურიანობა, ტერიტორიული დაქსაქსულობა და დიდი დახრილობა (გამონაკლისია მხოლოდ მცხეთის რაიონი);

გ. მძიმე კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობების გამო კულტურათა დაბალი მოსავლიანობა და სასაქონლო პროდუქციის სიმცირე;

დ. სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვის სიძნელეები და შრომის მწარმოებლობის დაბალი დონე;

ე. მრეწველობის განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობები (თუ არ ჩავთვლით საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ განლაგების ფაქტორს);

ვ. საგზაო კომუნიკაციების შექმნის სირთულეები;

ზ. მატერიალური წარმოების სფეროს შეზღუდულობის გამო მოსახლეობის შრომითი რესურსების სუსტად გამოყენება და აქედან გამომდინარე დინამიურად მზარდი შიდა და გარე მიგრაცია

რეგიონის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია ის, რომ იგი ძირითადად საკუთარ სანედლეულე ბაზაზე ვითარდება. ასეთი მდგომარეობა შექმნილია როგორც ობიექტური (სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა), ასევე სუბიექტური (რეგიონის, განსაკუთრებით მისი მთიანი ნაწილის, მიმართ ათეული წლების მანძილზე გატარებული არასწორი პოლიტიკა) მიზეზებით. სწორედ ამიტომ, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო პრობლემა რეგიონის ერთ-ერთ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა, რომლის დროულ და ეფექტურ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული რეგიონის სამეურნეო-კულტურული აღმავლობა.

რეგიონის ეკონომიკური წინსვლა მომავალში უმთავრესად საკუთარ ბუნებრივ რესურსებს დაეყრდნობა. ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკისა და ქვეყნის რეალური განვითარების პირობებში აუცილებელია რეგიონის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების შესწავლილი და შეუსწავლელი მარაგების ხელახალი ინვენტარიზაცია, კომპლექსური კვლევა და მათი პერსპექტიულობის (ეროვნული, რეგიონული და მუნიციპალური დონეები) განსაზღვრა. ამასთან, ბუნებრივი რესურსების შესაძლო მოპოვება-დამუშავების შემთხვევაში აუცილებელი იქნება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის განისაზღვროს როგორც მოპოვება-დამუშავების აუცილებლობა (მოტივაცია), ასევე ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები. კონკრეტულად უნდა დამუშავდეს მარკეტინგული პროგრამა, როგორც შესაბამის ბაზარზე გატანის აუცილებელი პირობა.

აღმოსავლეთ კასკასიონის მდინარეთა წლიური ჩამონადენი 4063 მილიონი $მ^3$-ია. მდინარეთა პოტენციური სიმძლავრე 1 მლნ. კილოვატია, რაც შეადგენს საქართველოს მდინარეთა პოტენციური მარაგის 6.4%-ს. ჰიდროენერგიის მარაგით გამოირჩევა მდ. არაგვი, რომლის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი 0.5 მლნ. კილოვატს უდრის და მდ. თერგი (საქართველოს ფარგლებში) – 0.23 მლნ. კილოვატი.

მრავალწლიანი გაზომვების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ მცხეთა-მთიანეთის ვაკე და მთისწინა ზონები ფლობენ გაცილებით დიდ ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს, ვიდრე რეგიონის საშუალომთიანი და მაღალმთიანი ადგილები.

მაღალმთიან ადგილებში ზაფხულის პერიოდში ღრუბლიანობის ხშირი განმეორებადობისა და ზამთრის პერიოდში დაბალი ტემპერატურის გამო ნაკლებად ხელსაყრელია მზის ენერგიის ასათვისებლად მზის თბური კოლექტორების გამოყენება. ასეთ ადგილებში მიზანშეწონილია მზის ენერგიის ელექტროენერგიად პირდაპირი გარდაქმნის ნახევრადგამტარიანი პანელების გამოყენება.

მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში (სადაც მზის ენერგიის გამოყენების მაღალი შესაძლებლობებია) მიზანშეწონილია თანამედროვე მზის თბური კოლექტორების გამოყენებით ცხელი წყალმომარაგების სისტემების შექმნა, რის შედეგადაც შეიძლება მიღწეულ იქნეს სათბობის მნიშვნელოვანი ეკონომია.

რეგიონის ენერგეტიკულ ბალანსში მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია შეიტანოს ბიოგაზის მიღების ტექნოლოგიის დანერგვამ, რისთვისაც შეიძლება გამოყენებული იყოს მცენარეული და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ნაკელი და სხვა. ბიოგაზის წარმოების შედეგად მიღებული ორგანული სასუქი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ტყის რესურსების დაზოგვას.

ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა და კვალიფიციური კადრების მომზადება.

ენერგიის გამომუშავების წარმადობის გაზრდა ასევე შესაძლებელია ბიოგაზის, რეგიონში არსებული ჰელიო და ქარის ენერგეტიკული რესურსით, რაც განაპირობებს ნაკლებად დასახლებული პუნქტების გამანაწილებელი ქსელის გარეშე ელ. მომარაგებას.

ზოგიერთი მინერალური წყარო მდიდარია ნახშირორჟანგით, მათი დებეტი საკმაოდ დიდია და შესაძლებელია მათგან ნახშირორჟანგის მოპოვება. ზოგიერთი წყარო შეიცავს ბრომს და იოდს, მათი მოპოვება პერსპექტიულია.

წყაროების ნაწილი ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი და აღრიცხული, საჭიროა დეტალური გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება.

ადგილობრივი მინერალური რესურსების ბაზაზე სამთო-მოპოვებითი წარმოების შექმნა მთიანი რეგიონების სამრეწველო განვითარების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს. რეგიონის სინამდვილეში მინიციპალიტეტებს განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნიათ, თუმცა, შედარებითი სიმცირის მიუხედავად, მათ პერსპექტივებზე შესაძლებელია ფიქრი.

სპილენძი - საბადო მდებარეობს ყაზბეგის რაიონში, ს. გველეთიდან 10 კილომეტრზე, დევდორაკის საბადოს სახელით.მარაგი დიდია, თუმცა ბოლომდე შეუსწავლელია;

პოლილითონები - ტყვია-თუთიის მცირე გამოსასვლელებია შენიშნული მდ. ასას ხეობაში, მაგრამ დაბალია მადნის კონცენტრაცია. ყაზბეგის რაიონში შემჩნეულია სტიბიუმის (სურმა) უმნიშვნელო გამოვლინებები;

ანდეზიტი - მდ. თერგისა და მისი მარცხენა შენაკადების ხეობებში ცნობილია არშის, საკუცეტოსა და სხვა საბადოები ერთიანი მარაგით 3638 ათასი $მ^3$.

კვარციტები - სამრეწველო მნიშვნელობის საბადოებია დ. სტეფანწმინდასთან;

საშენი ფიქლები - საბადოები მრავლადაა გამოვლენილი საქართველოს სამხედრო გზისა და ფშავ-ხევსურეთის არაგვის ხეობის გასწვრივ;

მთის ბროლი და გრაფიტი - მცირე საბადოებია დ. სტეფანწმინდასთან, თუმცა შესასწავლია მისი გამოყენების შესაძლებლობები და მასშტაბები;

დიაბაზი - სოლიდური მარაგებია ს.ს. ჯუთისა და როშკის მიდამოებში (სავარაუდო მარაგები 10 მლნ. $მ^3$) მათ სამრეწველო გამოყენების დიდი პერსპექტივები გააჩნიათ;

მდინარე არაგვის სისტემა განაპირობებს **ინერტული მასალების** ქსელურ განვითარებას. ქვიშა-ხრეშის მოპოვებით მოწინავეა დუშეთის და მცხეთის მუნიციპალიტეტები.

რეგიონში ბევრგან არის დაზვერილი გრანიტების, პორფირიტების, გნეისების საბადოები, მაგრამ ისინი ძნელად მისადგომ ადგილებშია და ამიტომ მოპოვება არ სწარმოებს.

3.4 ტურიზმი

მცხეთა-მთიანეთის მთიანი ტერიტორიები და მთისწინეთი საკმაოდ საინტერესო (უკვე არსებული ათვისების სისტემით) და პერსპექტიულ რაიონს წარმოადგენს ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის.

ზოგადად მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების, როგორც ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის ობიექტის, მნიშვნელობას ზრდის ამ მხარის ჯანმრთელი ჰავა და საკმარისი რაოდენობის მინერალური და სამკურნალო წყაროები, რომელთა მიზნობრივი და კომპლექსური გამოყენების საფუძველზე შესაძლებელია აღდგეს და ახლიდან შეიქმნას სხვადასხვა პროფილის ბალნეო-კლიმატური და კლიმატურ-ბალნეოლოგიური ცენტრები.

ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონის დასახლებული ადგილების თავისებურ არქიტექტურას, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლებს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პოზიციების რაციონალური გამოყენების შედეგად, რეგიონი შეიძლება გადაიქცეს ტურიზმ-ალპინიზმისა და კლიმატურ-ბალნეოლოგიური ცენტრების კონცენტრირებულ ზონად და სწორედ ეს არამწარმოებლური დარგები განსაზღვრავენ უახლოეს პერსპექტივაში რეგიონის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას.

მცხეთა–მთიანეთის რეგიონს დიდი პოტენციალი გააჩნია ტურიზმის განვითარების სფეროში. ოთხივე მუნიციპალიტეტი და ქალაქი მცხეთა გამოირჩევა დიდი ისტორიული წარსულით, ძეგლებით, ადათ–წესებით და ტრადიციებით. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქ. მცხეთა, რომელიც იუნესკოს ძეგლია. საინტერესო და ტურისტებისთვის ძალიან მიმზიდველია რეგიონის მთიანეთი, სადაც უდიდესი შესაძლებლობაა მნიშვნელოვნად განვითარდეს ტურიზმის სხვადასხვა სახეობა: კულტურული, მომლოცველობითი, არქეოლოგიური, სათავგადასავლო, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სამთო–სათხილამურო, ბიზნესტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი.

დღეისათვის რეგიონში მხოლოდ ერთი ტურისტული საინფორმაციო ცენტრია ქ. მცხეთაში, სადაც ტურისტს შესაძლებლობა აქვს ინფორმაცია მიიღოს მთელი რეგიონის ტურისტული მარშრუტების და სხვა სერვისების შესახებ (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნაბეჭდი მასალა მცირე რაოდენობითაა და რიგ შემთხვევაში არ აკმაყოფილებს ხარისხს). მიგვაჩნია, რომ ტურისტული საინფორმაციო ცენტრის გახსნის აუცილებლობა ყველა მუნიციპალიტეტშია.

ტურიზმის სწრაფი ტემპით განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები. ამ ორი ტურისტული ობიექტისადმი ინტერესი ყოველთვის არსებობდა, რამაც განაპირობა სახელმწიფო და ადგილობრივი პროექტების მათკენ მიმართვა. ქ.მცხეთაში და დაბა ყაზბეგში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული

განაშენიანება და რეაბილიტაცია, რომლის განხორციელების ერთ–ერთი ძირითადი მიზანი ტურიზმის განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი შემოსავლების გაზრდაა. რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულმა განვითარებამ განაპირობა ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მატება, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესის გაზრდა საოჯახო სასტუმროებისა და სხვა ტურისტული მომსახურების ობიექტების მოსაწყობად.

3.5 სოფლის მეურნეობა

რეგიონის ბუნებრივი პირობების თავისებურებები მკვეთრადაა გამოხატული მიწის ფონდის სტრუქტურაში.

მიწის ფონდი მუდმივ ტრანსფორმაციაში იმყოფება - მიწების ნაწილი გამოდის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან და გამოიყენება მშენებლობის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, გზების აგებისა თუ სხვა დანიშნულებისათვის. მეორეს მხრივ, სასოფლო-სამეურნეო მიწებად იქცევა ახალი, ადრე გამოუყენებელი მიწები. ეს ძალზე რთული პროცესია (მითუმეტეს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით), რომელიც სერიოზულ კონტროლს მოითხოვს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიწის სხვა კატეგორიაში გადატანა, ერთის მხრივ სახალხო (სოფელი, თემი), მეორეს მხრივ რეგიონის განვითარების სამეურნეო ინტერესების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს.

რეგიონის მაგალითზე აღნიშნული საკითხის სიმწვავე განპირობებულია იმითაც, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 2/3-ის საერთო მახასიათებელია:

ა. სასოფლო-სამეურნეო ფართობის არაპროპორციული სტრუქტურა - სახნავი მიწების სიმცირე და ბუნებრივი საკვები სავარგულების მკვეთრად გამოხატული აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდე;

ბ. მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობების სიმცირე და შემცირების ტენდენცია;

გ. სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოუსადეგარი მიწების დიდი მოცულობა.

მიწის სავარგულების სტრუქტურაში აღსანიშნავია აგრეთვე მეორე დისპროპორცია: ბუნებრივი საკვები ბაზა წარმოდგენილია მხოლოდ საზაფხულო საძოვრებითა და სათიბებით. ზამთრის საკვები რესურსების სიმცირე მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი შემზღუდველი ფაქტორია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ნიადაგის ბუნებრივი მწარმოებლობა, ანუ კონკრეტული კულტურების მოსავლიანობა, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის ხარისხიან სათესლე მასალაზე, მელიორაციის განვითარების ხარისხსა და აგროვადების მკაცრად დაცვაზე.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონული გავითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მას რეგიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი და წამყვანი ადგილი უჭირავს.

მუნიციპალიტეტების გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს სოფლის მეურნეობის მრავალი მიმართულების განვითარებას, რაც სამომავლოდ შესაძლებლობას მოგვცემს, გავზარდოთ რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყნის შიდა ბაზარზე. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ ეს სექტორი თვითდასაქმების და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა.

საბჭოთა მეურნეობების დაშლის და ბოლო ათწლეულების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოშლის შემდგომ ტრადიციული დარგების შენარჩუნება ხდებოდა შინამეურნეობებში, რომლებიც ძირითადად საკუთარი საოჯახო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იწარმოებოდა.

მემარცვლეობა

მარცვლეულის წარმოებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მცხეთის, დუშეთის და თიანეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, მაგრამ სათანადო ტექნიკის, აგროტექნოლოგიების, ხარიხიანი თესლის, გასარწყავების და სხვა საჭიროებათა უქონლობის გამო საშუალო მოსავლიანობა ძალიან დაბალია.

მებოსტნეობა-მებაღჩეობა

მებოსტნეობა-მებაღჩეობისთვის მეტ-ნაკლები პირობები არსებობს მთელი რეგიონის მასშტაბით, მაგრამ შედარებით ინტენსიურად დატვირთულია მცხეთის მუნიციპალიტეტი. ეს განპირობებულია სარეალიზაციო ბაზართან (თბილისი) სიახლოვით და კომუნიკაციის სიიოლით. ძირითადად იწარმოება პამიდორი, კომბოსტო, ხახვი და სხვა. ვინაიდან ეს მიმართულება ძირითადად წვრილ მეურნეობებშია განვითარებული, ვერ იქმნება იმ მოცულობის პროდუქცია, რომ კონკურენცია გაუწიოს ქვემო ქართლის და ლაგოდეხის შედარებით განვითარებულ წარმოებას. ერთჯერადად წარმოებული პროდუქციის სიმცირე არარენტაბელურს ხდის მის შენახვას ნატახტარის მაცივარში.

მეკარტოფილეობა

მეკარტოფილეობის დიდი ტარდიცია არსებობს რეგიონში. დუშეთში, თიანეთში და ყაზბეგში მეკარტოფილეობა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. უხარისხო თესლის და არასათანადო ტექნოლოგიების უქონლობის გამო მოსავლიანობა დაბალია (20-25 ტ ჰა-ზე). წილკანთან არსებობს ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია კარტოფილის თესლის წარმოება სუპერ ელიტიდან ელიტამდე, მაგრამ, საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო ვერ იწარმოება კარტოფილის სამრეწველო თესლი. კარტოფილის მეთესლეობა პრიორიტეტული უნდა გახდეს რეგიონისთვის, აუცილებელია მეთესლეობის მეურნეობის შექმნა, რისთვისაც ძალიან ხელსაყრელი პირობებია ერწოს ქვაბულში (თიანეთის მუნიციპალიტეტი). რეგიონში შესაძლებელია ბიოკარტოფილის წარმოება და დედაქალაქის მოთხოვნილების მნიშვნელოვანწილად დაკმაყოფილება მაღალი ხარისხის კარტოფილით.

მევენახეობა

მევენახეობა ძირითადად მუხრანის ველზეა განვითარებული. აქაური ყურძენი განსაკუთრებული გემოვნური თვისებებით გამოირჩევა და ცნობილია აქ დამზადებული ღვინოები. უკვე მყარად დგას ფეხზე ბიოღვინის წარმოება (ს. ჩარდახი), რომელიც დიდი მოთხოვნით სარგებლობს უცხოეთში და წარმოებული ღვინო მთლიანად ექსპორტზე გადის. საჭიროა ამ მიმართულების განვითარების ხელშეწყობა. აღსანიშნავია ჯიღაურას სანერგე მეურნეობა, სადაც თავმოყრილია როგორც ენდემური, ისე უცხოეთიდან შემოტანილი პერსპექტიული ჯიშები.

მეხილეობა

მეხილეობისთვის ხელსაყრელი პირობები არსებობს როგორც ბარში, ისე საშულო მთის ზონაში. ძველი ბაღების ამორტიზირების და ახალი დიდი ბაღების გაუშენებლობის გამო ხილის წარმოებას რეგიონში მასობრივი სახე არა აქვს. ჯიღაურაში არსებობს ხეხილის სანერგე მეურნეობა, ის აწარმოებს როგორც საძირის ასევე სადედეს წარმოებას, მაგრამ მის საქმიანობას რეგიონზე არსებითი დადებითი გავლენა არ მოუხდენია. თიანეთი უნიკალურ მიკროზონას წარმოადგენს მეხილეობითვის (ვაშლი,მსხალი, ქლიავი, კომში, კაკლოვნები). ტრადიციულად აქ არ გამოიყენებოდა შხამ-ქიმიკატები და აქაური ხილი გემოვნურ თვისებთან ერთად ეკოლოგიური სისუფთავითაც გამოირჩევა. საჭიროა ამ მიმართულებით განვითარება.

რეგიონში სამრეწველო ხილის ბაღების გაშენების ხელშემშლელი ფაქტორებია ნერგების სიძვირე, სათანადო ტექნიკის არარსებობა, ახალი ტექნოლოგიების ცოდნის დაბალი დონე, ხილის ლოკალური დამზადების პუნქტებისა და გადამუშავების მცირე საწარმოების არქონა;

მესაქონლეობა (მსხვილფეხა)

გეოგრაფიულ-ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მესაქონლეობა რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. როგორც სარძევე, ასევე სახორცე მიმართულება დაბალპროდუქტიულობით გამოირჩევა. ამის ძირითადი მიზეზებია სანაშენე ფერმების არარსებობა, საკვები ბაზის არასათანადო დონე და ჩვენი მოსახლეობის დაბალი მატერიალური შესაძლებლობა. საჭიროა მაღალრენტაბელური, მათ შორის ალპურ პირობებთან შეგუებული ჯიშების შემოყვანა-გამრავლება, რძის და ხორცის მიმღებ-გადამამუშავებელი მცირე საწარმოების ამოქმედება, ახალი, მაღალფასიანი პროდუქტების შექმნა;

მესაქონლეობა (წვრილფეხა)

მეცხვარეობა რეგიონის უძველესი ტრადიციული დარგია. მცხეთა-მთიანეთის რეგიონს მისი განვითარების უდიდესი პოტენციალი აქვს. პოსტსაბჭოთა პერიოდში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 120 000 სული ცხვარი იყო აღრიცხული, თიანეთსა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში ცხვრის სულადობა 200 000 სულს აჭარბებდა. ცხვრის რაოდენობის მკვეთრი შემცირება განპირობებულია ზამთრის საძოვრების სიმცირით. მოსაწესრიგებელია

ცხვრის გადასარეკი ტრასების ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი გამართული ფუნქციონირება.

მეღორეობა

მეღორეობა ძალიან პერსპექტიული დარგია რეგიონისათვის. ბოლო წლებში გაჩენილმა დაავადებებმა დიდი დარტყმა მიაყენა ამ დარგს. იგი თავმოყრილია შინამეურნეობებში.

მეფრინველეობა

მეფრინველეობის სამრეწველო ფერმები თავმოყრილია მხოლოდ მცხეთის მუნიციპალიტეტში, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს დედაქალაქის ფრინველის ხორცითა და კვერცხით მომარაგებაში. დიდი მოთხოვნილებაა ე.წ. სოფლის ქათამზე და კვერცხზე, რომელიც შინამეურნეობების მცირე წარმოების გამო მინიმალურადაც არაა დაკმაყოფილებული. ამიტომ საინტერესო პერსპექტივა აქვს ბიომეფრინველეობის განვითარებას. თიანეთში საბჭოთა პერიოდში ფუნქციონირებდა სახორცე ინდაურების მსხვილი ფერმა. აქ კარგი პერსპექტივაა ამ მიმართულების ასაღორძინებლად. მცხეთაში, დუშეთსა და თიანეთში წარმატებით შეიძლება წყლის მეფრინველეობის (იხვი, ბატი) განვითარება.

მეფუტკრეობა

რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში განვითარებულია მეფუტკრეობა. ეკოლოგიური გარემო, ალპური და ტყის მცენარეების სიმრავლე და მრავალფეროვნება, ქართული ჯიშის ფუტკრის თვისებები განაპირობებს აქაური თაფლის განსაკუთრებულ გემოვნურ თვისებებს. ბუნებრივი რესურსების სიუხვე ფუტკრის პროდუქტების რამდენჯერმე გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. საჭიროა სათანადო დაფასოება-გაფორმების ორგანიზება და მარკეტინგული ღონისძიებების გატარება, რაც უპრიანია მეფუტკრეთა კოოპერირების გზით მოხდეს.

მეთევზეობა

მთელი რეგიონის მასშტაბით ხელსაყრელი პირობებია მეთევზეობის განვითარებისათვის. მეთევზეობის მეურნეობები (ტბორები) არსებობს ყველა მუნიციპალიტეტში. შესაძლებელი რაოდენობრივი ზრდა, სასურველია თევზის გადამამუშავებელი მცირე საწარმოების ამოქმედება.

მესათბურეობა

სასათბურე მეურნეობების შექმნა სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს სეზონის გარეშე ჩვენი ბაზრისთვის პროდუქტების მიწოდების მიზნით. ეს მიმართულება განსაკუთრებით პერსპექტიულია მცირემიწიანობის პირობებში. უკვე ნახევარი და ერთი ჰა მიწისმფლობელთა საქმიანობაც შეიძლება გახდეს მომგებიანი. ამასთანავე მინიმუმამდე დადის ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული რისკი. მაგრამ ენერგორესურსების სიძვირე ამ მიმართულების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია. ამ მხრივ საჭიროა ხელისუფლების

მხარდაჭერა. ამასთანავე უნდა დაინერგოს ენერგოდამზოგავი კონსტრუქციები, ათვისებულ იქნეს ალტერნატიული ენერგიის წყაროები.

საკვებწარმოება

საჭიროა მაღალმოსავლიანი კულტურების დანერგვა მეცხოველეობა-მეფრინველეობის საკვების წარმოების მიზნით. უნდა შეირჩეს რეგიონის პირობებისადმი შეგუებული მრავალწლიანი ბალახები, ბოლქვიანი და სხვა მცენარეები.

სოფლის მეურნეობის რეგიონული პროდუქტების კომერციალიზაცია

რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ისედაც დაბალმწარმოებლურობას ემატება მისი კომერციალიზაციის დაბალი დონე. ცალკეულ მწარმოებლებს არ ხელეწიფებათ, რომ მოახდინონ თავიანთი პროდუქციის სათანადო შეფუთვა, რეკლამირება და ბაზრისთვის მიწოდება. ამ საკითხში საჭიროა გარკვეული სახელმწიფო მხარდაჭერა (ისევე როგორც მეღვინეობის მიმართ), რათა რეგიონული პროდუქტები კონკურენტუნარიანი და მაღალშემოსავლიანი გახდეს. ტრადიციული პროდუქტის პოპულარიზების კარგ მაგალითს წარმოადგენს თიანეთური დამბალ-ხაჭო, რომელიც აღიარებულ იქნა როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრება და ამან მკვეთრად აამაღლა მასზე მოთხოვნილება და შესაბამისად ფასი. ადგილობრივ მწარმოებლებს სტიმული მიეცათ და ზოგიერთი ფერმერი მთლიანად მის წარმოებაზე გადავიდა.

ტყის პროდუქტები

რეგიონში ძალიან დიდი რესურსი არსებობს ტყის არამერქნული პროდუქტების (ხილი, კენკრა, სამკურნალო მცენარეები). საჭიროა მისი დამზადების და გადამუშავების ორგანიზება, რაც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, მოსახლეობას გაუჩენს დამატებით შემოსავალს.

კოოპერაცია

კანონმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერციის შესახებ, ამ მიმართულების სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერამ შესაძლებლობა მისცა ცალკეულ ფერმერთა ჯგუფებს, რომ თავიანთი საქმიანობა წარმატებით განევითარებინათ, თუმცა შემაფერხებელ ფაქტორად რჩება საგრანტო პირობებში წილობრივი ფინანსური თანამონაწილეობა.

IV. ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

4.1 გზები და ტრანსპორტი

საავტომობილო გზებს (დასახლებების შიდა გზების ჩათვლით) რეგიონში 476,6 კმ უკავია. მათ შორის საერთაშორისო მნიშვნელობისაა - 172,3 კმ., შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა - 460,3 კმ., ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის - 800 კმ-ზე მეტი გზა.

აღსანიშნავია, რომ ასფალტის ან ბეტონის საფარით არ არის დაფარული მუნიციპალური ცენტრებისა და შესაბამისი დასახლებების დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო გზების დიდი ნაწილი. მეწყერული და ღვარცოფული მოვლენები პერმანენტულად აზიანებს საფარს. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დიდი ნაწილი გრუნტოვანია, რის გამოც ზამთრის დიდთოვლობის პერიოდში იშლება კომუნიკაცია ბევრ დასახლებულ პუნქტთან. მოსაწესრიგებელია მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების უდიდესი ნაწილი. განსაკუთრებით მწვავე პრობლემას წარმოადგენს პირიქითა ხევსურეთის, გუდამაყრისა და მთიულეთის სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, რომელიც ზაფხულის პირობებშიც ძნელად გასავლელია, ხოლო ზამთარში იკეტება, რაც იწვევს მათ მოწყვეტას მუნიციპალიტეტის ცენტრისგან.

რეგიონის მოსახლეობის გადაადგილებისა და ტვირთების გადატანის ერთადერთ საშუალებას საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს. რეგიონში შიდა სატრანსპორტო საშუალებები, ძირითადად, წარმოდგენილია მუნიციპალური და კერძო სატრანსპორტო ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების სახით. ძირითადი მგზავრთნაკადები და ტვირთნაკადებია თბილისი-რეგიონის მუნიციპალიტეტები, რეგიონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრები-შესაბამის მუნიციპალიტეტებში შემავალი სოფლები და თემები. ნაკადები სეზონური ხასიათისაა და ზამთრის პერიოდში დაბალი ინტენსივობით ხასიათდება. მუნიციპალიტეტების ცენტრებს სოფლები, ძირითადად, ბაზრობის დღეს უკავშირდება. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლები მოწყვეტილნი არიან მუნიციპალიტეტის ცენტრთან კავშირს (სამარშრუტო ავტობუსები პირდაპირ თბილისში მიემართებიან). არადამაკმაყოფილებელია რეგიონში არსებული ავტოსადგურების მდგომარეობა.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით ცენტრალური ხელისუფლების მიერ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ბოლო წლებში განხორციელდა საავტომობილო გზების რეაბილიტაციის ღონისძიებები. ამჟამად მიმდინარეობს სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო გზის ორი მონაკვეთის მშენებლობა: თიანეთი-ჟინვალი და როშკა-არხოტი, რომელთა დასრულების შემდეგ საგრძნობლად შეიცვლება თიანეთის მუნიციპალიტეტსა და პირიქითა ხევსურეთში მაცხოვრებელთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სარკინიგზო მაგისტრალის სიგრძე შეადგენს 26 კმ-ს.

4.2 კომუნალური მომსახურებები

4.2.1 წალმომარაგება და წყალანირება

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სასმელი წყლის მნიშვნელოვანი დანაკარგებია მოძველებული და დაზიანებული წყალსადენი სისტემის გამო. დასახლებული პუნქტების უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი საკანალიზაციო ქსელით. იმ ქსელების უმრავლესობა კი, რომლებიც ამჟამად ფუნქციონირებს, საჭიროებს რეკონსტრუქციასა და განახლებას. საკანალიზაციო ქსელიდან იკარგება ჩამონადენის დაახლოებით 60-70%, რაც იწვევს გრუნტის წყლების დაბინძურებას.

4.2.2 ბუნებრივი აირი და ენერგო მომარაგება

ენერგომომარაგება. რეგიონი თითქმის მთლიანად არის ელექტროფიცირე-ბული. რელიეფის სირთულეების გამო გადასაწყვეტია ელექტროენერგიის მიწოდების საკითხი მცხეთის მუნიციპალიტეტის ორ და დუშეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე მაღალმთიან სოფელში.

გაზიფიკაცია. ამჟამად, ბუნებრივი აირის მიწოდებით უზრუნველყოფილია მხოლოდ ყაზხბეგის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები მცხეთის, დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში. აქვე ხაზგასასმელია შემდეგი გარემოება: გაზის მიწოდებით უზრუნველყოფის მიუხედავად მისი გამოყენების სერიოზული პრობლემები აქვთ არა მარტო მთიანი და მაღალმთიანი სოფლების მაცხოვრებლებს, არამედ ამავე ზონაში განლაგებულ სკოლებსა და საბავშვო ბაღებს, რამდენადაც ვერ ახერხებენ გადასახადის გადახდას.

4.2.3 ნარჩენების მართვა

რეგიონსა და მის მუნიციპალიტეტებში, გარდა ადმინისტრაციული ცენტრებისა, სათანადოდ არ ხორციელდება ნარჩენების ორგანიზებული გატანა, ასევე არ არის მოგვარებული ნაგავსაყრელების განთავსების პრობლემაც.

რეგიონის ოთხ მუნიციპალიტეტში მოწყობილი ნაგავსაყრელების მდგომარეობა არასახარბიელოა. ვერ ხდება მათი სათანადო სანიტარიული დამუშავება და გაუვნებელყოფა. არასაკმარისია ნარჩენების შემგროვებელი ავტომანქანები და ბუნკერები.

აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიაზე ზემოქმედების ნაკლები ხვედრითი წილი მოდის რეგიონში არსებულ მსხვილ საწარმოებზე. წარმოების დიდი მოცულობა და ინვესტიცია მათ საშუალებას აძლევს, საწარმოები აღჭურვონ თანამედროვე ტექნოლოგიების გამწმენდი ნაგებობებით, მოახდინონ ნარჩენების მეორადი გადამუშავება და გამოყენება. მეტი საფრთხე მოდის მცირე და საშუალო ბიზნესის მეწარმეების და მოსახლეობის მხრიდან, რომელთაც არ გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობები, სათანადო დონეზე უზრუნველყონ ნარჩენების მართვა და გაუვნებელყოფა.

რეგიონში მოქმედი საავადმყოფოების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა არ აღირიცხება. ასევე მოსაწესრიგებელია სხვა სპეციფიკური (მეფრინველეობის კომბინატი მუხრანში და სხვა) ნარჩენების გაუვნებელყოფის და

უტილიზაციის საკითხი. ინფორმაცია რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების, პესტიციდების მოქმედი და მიტოვებული საწყობის არსებობისა და მდგომარეობის შესახებ არ მოიპოვება.

4.3 კავშირგაბმულობა

რეგიონის ტერიტორიაზე ვრცელდება ფიჭური კავშირგაბმულობის მობილური ქსელები. ინტერნეტკავშირი ძირითადად ხელმისაწვდომია ყველა მუნიციპალიტეტში (გარკვეული ტექნიკური პრობლემები აქვს თიანეთს); მომხმარებლის მიერ ინტერნეტის მიღება ხდება მობილური ქსელების (მოდემები), სატელეფონო კავშირის სადენების და სატელიტური თეფშების საშუალებითაც. „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრები ოთხივე მუნიციპალურ ცენტრში მოქმედებს.

4.4 სახანძრო-სამაშველო სამსახური

რეგიონულ ცენტრში ბაზირებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, ხოლო მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს სახანძრო-სამაშველო სამსახურები. სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად დამაკმაყოფილებელია.

V. გარემოს დაცვა

საქართველოს ბუნება, მისი ბიოლოგიური მრავალფეროვნება ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი სიმდიდრეა. ქვეყნის მდგრადი განვითარება შეუძლებელია ამ სიმდიდრის რაციონალური გამოყენებისა და შენარჩუნების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია მცხეთა-მთიანეთის ბუნებრივი გარემოს სწორი, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული დიაგნოსტიკა და შემდგომ რესურსების ოპტიმალური გამოყენების სტრატეგიის შემუშავება.

5.1 ატმოსფერული ჰაერი და წყალი

რეგიონში **ატმოსფერული ჰაერი** ძირითადად ბინძურდება ავტოტრანსპორ-ტიდან, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან და, შედარებით ნაკლებად, სამრეწველო ობიექტებიდან. რადგან ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც ჰაერის ძირითად დამაბინძურებელ წყაროდ არის მიჩნეული, რეგიონში თითქმის არ არის. აქ გადის მნიშვნელოვანი ავტომაგისტრალები როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის, ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით ინტენსიური და მზარდი საავტომობილო მოძრაობით. აღნიშნული განაპირობებს დაბინძურების მაღალ ხარისხს, რასაც აძლიერებს ავტომანქანების გაუმართაობა და დაბალი

ხარისხის საწვავის გამოყენება. ვინაიდან ავტომაგისტრალები ძირითადად გადის დასახლებულ პუნქტებზე, ცალკეულ მონაკვეთებზე მაცხოვრებელთა ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება და აქედან გამოწვეული ავადობების რისკი საგრძნობლად მაღალია. საჭიროა ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება: ქვეყანაში არსებული საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების საშუალო ასაკის შემცირება, საავტომობილო საწვავის ხარისხის გაუმჯობესება, მკაცრი ნორმების დაწესება სატრანსპორტო საშუალებებიდან მავნე გამონაბოლქვებზე და ამ ნორმების პრაქტიკაში განხორციელება. ასევე აუცილებელია ძირითადი საერთაშორისო მაგისტრალების შესაბამისი ინფრასტრუქტურული და სერვისული მომსახურებით უზრუნველყოფა, მითუმეტეს, როდესაც საერთო პრობლემებს ბუნებრივი პროცესების გართულებებიც (მეწყერული და ღვარცოფული მოვლენები) ემატება.

რეგიონის წყლის რესურსები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ისინი წარმოდგენილია ტბებით, წყალსაცავებით, მდინარეებით, მყინვარებით და მიწისქვეშა წყლებით.

მდინარეთა ჩამონადენის (7244,3 მლნ.მ^3) რეჟიმის მოსაწესრიგებლად, ირიგაციული, სასმელ-სამეურნეო მიწოდებისათვის შექმნილი ჟინვალის, სიონის, ნარეკვავის, ზაჰესის წყალსაცავები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონში.

წყლის რესურსებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **<u>მტკნარ, მიწისქვეშა წყლებს</u>**. ისინი ყოველწლიურად განახლებადია და გამორჩეულია სისუფთავით და დებეტის მუდმივობით. ამ წყლებით შესაძლებელია სასმელ-სამეურნეო წყალზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება და ჭარბი რესურსის მიღება. ადგილზე ფორმირებული წყლის რესურსების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით (112 მმ) ხასიათდება მცხეთის მუნიციპალიტეტი, ხოლო მაღალი მაჩვენებლით – ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (730 მმ). მიუხედავად ამისა, სასმელი წყლის წარმოებით გამორჩეულია მცხეთის მუნიციპალიტეტი, იგი ქ. თბილისისათვის სასმელი წყლის ძირითადი მიმწოდებელია. ჩამოსასხმელად ვარგისი სასმელი წყლის ოდენობა რეგიონის მთელ ტერიტორიაზე მისი წარმოების სერიოზული გაზრდის საშუალებას იძლევა როგორც შიდა, ისე გარე ბაზრისთვის.

მინერალურ წყლები ოთხივე მუნიციპალიტეტში გამოვლენილი (დაახლოებით 115 წყარო) წყლები გამოირჩევა ქიმიური შემადგენლობის მრავალფეროვნებით. მათი უმრავლესობის გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას იძლევა, მათ ბაზაზე აშენდეს კურორტები, პანსიონები, დასასვენებელი სახლები და წყლის (როგორც მტკნარი, ასევე მინერალური) ჩამოსასხმელი საწარმოები.

რეგიონში გამავალი მდინარეები (მტკვარი, არაგვი, იორი, თერგი) მნიშვნელოვან **ჰიდროენერგორესურსებს** წარმოადგენს. მდინარე მტკვარზე აგებულია ზაჰესი, არაგვზე - ჟინვალჰესი, არაგვი ჰესი, იორზე - სიონჰესი; ყაზბეგის რაიონში (თერგი და შენაკადები) აშენდა 1 და იგეგმება კიდევ რამოდენიმე ახალი მცირე ჰესის მშენებლობა.

რეგიონში დაწყებულია **სარწყავი სისტემების** აღდგენა-მოწესრიგება. 2013-14 წლებში სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებებზე დახარჯულია 6 358 446 ლარი; 2015 წელს ლამი-მისაქციელის

სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხების მოწესრიგებასა და ნარეკვავის წყალსაცავის კაშხლის და კატასტროფული წყალსაგდების აღდგენა-რეაბილიტაციაზე - 8 მილიონამდე ლარი დაიხარჯება.

მიუხედავად რეგიონში არსებული წყლის მნიშვნელოვანი რესურსებისა, ბევრი სოფელი სასმელი წყლით დაუკმაყოფილებელია. უკანასკნელ წლებში (2009-2012) გაწეული საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ წყალგაყვანილობის სისტემაზე ხშირად სახსრები არარაციონალურად იხარჯებოდა. აღნიშნულის შედეგია ისიც, რომ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები ყოველწლიურად მოითხოვს დამატებით ფინანსებს, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის ყველა მუნიციპალიტეტს.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია სასმელი და სარწყავი წყლის მარაგების მოხმარების ურთიერთკავშირი. იმის გამო, რომ სარწყავი სისტემების კონტროლი პრაქტიკულად არ ხდება (ბევრგან არ არის დამონტაჟებული მრიცხველები, უსისტემოდ ხდება გადასახადების ამოღება, მოქალაქეები თვითონ ერთვებიან მაგისტრალურ ქსელებში და ა.შ.), მომხმარებელთა დიდი ნაწილი სასმელ წყალს იყენებს სარწყავად. აღნიშნული ქმედება ორმხრივ მათვე აზარალებთ- არ ყოფნით სასმელი წყალი და ვერც სათანადო რწყვას უზრუნველყოფენ, მითუმეტეს, რომ გართულებები ექმნებათ კანონთან. აქედან გამომდინარე სასწრაფოდ აუცილებელია სათანადო სახელმწიფო (რეგიონული და მუნიციპალურიც) კონტროლის დაწესება აღნიშნულ პრობლემაზე და მისი გადაწყვეტის კონკრეტული გეგმების დასახვა.

ძირითადი მდინარეები ამავე დროს ქმნიან <u>ინერტული მასალების</u> მნიშვნელოვან რესურსს. ამჟამად კარიერები ფუნქციონირებს არაგვზე, ქსანზე და იორზე. აღნიშნული კარიერების საქმიანობა სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან, რამდენადაც ძალზე ხშირად ლიცენზიანტების საქმიანობა სცილდება ლიცენზიით განსაზღვრულ უფლებებს, რაც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს.

5.2 ტყის ფონდი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტერიტორიის 39% ტყიანია; ანუ ტყის საფარი შეადგენს 264,4 ათას ჰექტარს. ტყეების უდიდესი ნაწილი განლაგებულია მკვეთრი დაქანების ფერდობებზე და ასრულებენ უაღრესად მნიშვნელოვან ნიადაგდაცვით, წყლის შემნახველ-მარეგულირებელ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, რეკრეაციულ, ქარდაცვით და სხვა ფუნქციებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტყე სუფთა ჰაერის რეზერვუარია და ქმნის საკურორტო და ეკოლოგიურად სუფთა მიკროკლიმატს, რაც გამორჩეულს და მიმზიდველს ხდის რეგიონს. ტყის რესურსით განსაკუთრებით გამორჩეულია დუშეთის და თიანეთის მუნიციპალიტეტები. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარე სატყეო უბნები მოქცეულია ყაზბეგის ეროვნული პარკის ფარგლებში, ხოლო ქ. მცხეთის სატყეო ზონის ნაწილი – თბილისის ეროვნულ პარკში.

გარდა იმისა, რომ ტყე ბუნებრივი რესურსია, იგი მნიშვნელოვანი ფაქტორია რეგიონში სოფლის მეურნეობის, რეკრეაციულ-საკურორტო და ტურიზმის განვითარებისთვის.

უკანასკნელ ათწლეულებში რეგიონის ტყეებს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა უსისტემო გაჩეხვის შედეგად. ამის შედეგია მოხშირებული მეწყერები, ღვარცოფები, ნიადაგის ეროზია და სხვა.

აუცილებელია ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რაც ნიშნავს ტყეებისა და ტყიანი ტერიტორიების მოვლასა და გამოყენებას ისეთი მეთოდებითა და ინტენსივობით, რომლებიც უზრუნველყოფს მათი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. ტყის მდგრადი მართვა უზრუნველყოფს: ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებასა და ზრდას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვის საკითხებში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას.

2014 წლის გვალვიანმა ზაფხულმა და ტყეში გაჩენილმა ხშირმა ხანძრებმა დაგვანახვა შესაბამისი სამსახურების მოუქნელობა და ტექნიკური აღჭურვილობის დაბალი დონე. ამ მხრივ გადაუდებელი ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

დეგრადირებული ტყიანი ლანდშაფტები ადვილად ექვემდებარება მეწყრებისა და ზვავების განვითარებას. სადაც შესაძლებელია, უნდა აღდგეს დეგრადირებული ტყეები, თუმცა ეს ამოცანა ძალიან რთულია და მოითხოვს დიდ ძალისხმევას. აუცილებელია საქონლის ძოვების რეგულირება და ტყეების ბუნებრივი თვითაღდგენის პროცესის ხელშეწყობა.

5.3 ბუნებრივი კატასტროფების მართვა

რეგიონში ხშირად ფიქსირდება ბუნებრივი სტიქიური მოვლენები, როგორიცაა მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, გვალვა. კატასტროფების გაზრდილი ინტენსივობისა და სიხშირის გამომწვევი მიზეზებია დემოგრაფიული ცვლილება, დაუგეგმავი ურბანიზაცია, უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე არასაკმარისი კონტროლი, სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, გარემოს დეგრადაცია, კლიმატის ცვლილება და აღნიშნულ ფონზე პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და რეალიზაციის სისტემის არარსებობა სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე. ჩამოთვლილი პრობლემები საჭიროებს აქტიურ მიდგომას, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა შესაძლო ბუნებრივი საფრთხე.

2014 წელს წარმოქმნილმა დევდორაკის მეწყერმა და კიდევ უფრო დიდმა მომავალმა საფრთხემ დაგვანახა, რომ კატასტროფების რისკის შემცირება მრავალდარგობრივი, კომპლექსური საკითხია, რომელიც საჭიროებს ხელშეწყობას პოლიტიკურ და საკანონმდებლო დონეზე; შესაბამის სამეცნიერო ცოდნას, სწორი განვითარების დაგეგმვას, კანონმდებლობის შესრულებაზე მკაცრ

კონტროლს, ადამიანებზე კონცენტრირებულ ადრეული გაფრთხილების სისტემას, კატასტროფებისათვის მზადებისა და რეაგირების ეფექტურ მექანიზმებს და საზოგადოების გათვითცნობიერებას ამ საკითხებში.

5.4 ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები და კონსერვაცია

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც უკავშირდება ისეთ ანთროპოგენურ და ბუნებრივ ფაქტორებს, როგორიცაა ჰაბიტატების კარგვა, ფრაგმენტაცია და დეგრადირება, უკანონო ნადირობა და თევზჭერა, უცხო სახეობების ინტროდუქცია, ბიოლოგიური რესურსების არამდგრადი გამოყენება.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების ინტენსივობა დიდ ზეგავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე. ექსტენსიური სოფლის მეურნეობის მიწები ცხოველთა და მცენარეთა უამრავი სახეობისათვის მნიშვნელოვან საარსებო გარემოს წარმოადგენენ (მაგ.: მინდვრები, მდელოები, საძოვრები, სახნავ-სათესები, ბაღები და ა.შ.). სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პარალელურად ადგილი აქვს ბუნებრივი და სინთეზური გზით მიღებული სასუქების (ჰერბიციდები, პესტიციდები და ა.შ.) გამოყენების ზრდას. ეს კი თავის მხრივ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე. საძოვრებზე უწესრიგო ძოვებამ შესაძლოა ნიადაგის ეროზიული პროცესები გამოიწვიოს.

რეგიონში რამდენიმე დაცული ტერიტორიაა: ყაზბეგის ეროვნული პარკი, თბილისის ეროვნული პარკის ნაწილი, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი, ასას აღკვეტილი, ბუნების ძეგლები: სახიზნარის კლდე, აბანოს მინერალური ტბა, ჯვრის უღელტეხილისა და თრუსოს ტრავერტინები, ქეთერისის მინერალური ტბის ვოკლუზი, ბოდორნის კლდის სვეტები, როშკა.

ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო. გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან ხელმოწერილია ხელშეკრულება პარკის ინვესტირების შესახებ. 2015 წელს მოეწყობა პარკის ინფრასტრუქტურა, აშენდება ვიზიტორთა ცენტრი და რეინჯერთა სახლები, მოხდება ზონირება. ტრადიციული გამოყენების ზონაში დაგეგმილია სოციალური პროექტები. ეროვნული პარკის გაფართოება, მის მმართველობასა და საქმიანობაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა განამტკიცებს პირველადი ეკოსისტემების დაცვას, მისი რესურსების გეგმაზომიერ გამოყენებას, ეკონომიკური თვალსაზრისით კი – ხელს შეუწყობს ეკოტურიზმის განვითარებას.

კანონით დაარსდა და ამჟამად მიმდინარეობს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის შექმნისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესი. ბუნების დაცვის გარდა, იგი ეკონომიკურად გაძლიერების შანსი იქნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, შეჩერდება მიგრაციული პროცესები, განვითარდება ეკოტურიზმი, შეიქმნება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობები, გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი პროდუქციის გასაღების შესაძლებლობები.

რეგიონი განსაკუთრებით მდიდარია ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით. აღსანიშნავია ენდემური სახეობების და ჯიშების სიმრავლე. მათი დაცვა და კვლავწარმოება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. დაცულ ტერიტორიებს ბუნების დაცვის გარდა სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვაც გააჩნია. მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, შეჩერდება მიგრაციული პროცესები, განვითარდება ტურიზმი, შეიქმნება კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა, გაჩნდება ადგილობრივი პროდუქციის გასაღების შესაძლებლობები.

5.5 გარემოსდაცვითი საქმიანობა და ნარჩენების მართვა

საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ნიადაგის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ზოგადად საქართველოსთვის და კონკრეტულად მცხეთა-მთიანეთის მხარისთვის. ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სამეურნეო საქმიანობის შეწყვეტის გამო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გატყევება-გაჯაგნარების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები. საჭიროა ნიადაგების ნაყოფიერების შენარჩუნების კანონის რეალური ამოქმედება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

რეგიონში მწვავედ დგას გარემოს დამაბინძურებლების, კერძოდ ნარჩენების მართვის საკითხი. ზედაპირული წყლების ძირითადი დამბინძურებელია კომუნალური სექტორი (დასახლებული პუნქტების კანალიზაციის ჩამდინარე წყლები). დღევანდელი მდგომარეობით წყლის გამწმენდ არცერთ ნაგებობას არ შეუძლია უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გაწმენდა საპროექტო ხარისხის შესაბამისად. არ ხდება წყლის ბიოლოგიური გაწმენდა.

მცხეთის და ნაწილობრივ დუშეთის მუნიციპალიტეტებში ასევე დაბინძურების წყაროს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა (ჭარბად მოხმარებული მინერალური სასუქებისა და პესტიციდების ჩარეცხვა მდინარეებში, გაჟონვა გრუნტის წყლებში).

უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ნაგავსაყრელების თემა. არც ერთ დასახლებას არ გააჩნია დადგენილი ნორმებით აგებული ნაგავსაყრელი, ხოლო სოფლებში საერთოდ არ არსებობს და სტიქიურად ხდება ნაგვის დაყრა, უმეტესად ხევებსა და მდინარეებში, არასაკმარისია ნარჩენების შემგროვებელი ავტომანქანები და ბუნკერები.

აღსანიშნავია, რომ გარემოზე მავნე ზემოქმედების ნაკლები ხვედრითი წილი მოდის რეგიონში არსებულ მსხვილ საწარმოებზე. წარმოების დიდი მოცულობა და ინვესტიცია მათ საშუალებას აძლევს, საწარმოები აღჭურვონ თანამედროვე ტექნოლოგიების გამწმენდი ნაგებობებით, მოახდინონ ნარჩენების მეორადი გადამუშავება და გამოყენება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ე.წ. სპეციალური/სპეციფიკური ნარჩენი (მაგ.: მეფრინველეობის კომბინატის საწარმოო ნარჩენი), რომელთა მართვა-გაუვნებლობის და, ამასთან ერთად, ეკოლოგიური უსაფრთხოების ზომების დაცვა საკმაოდ გართულებული პროცესია.

საფრთხეს წარმოადგენს გარემოს დაბინძურება ნარჩენებით, მცირე და საშუალო ბიზნესის მეწარმეების და მოსახლეობის მხრიდან რომელთაც არ გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობები, სათანადო დონეზე უზრუნველყონ ნარჩენების მართვა და გაუვნებელყოფა.

5.6 ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

სამშენებლო მასალები

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მდიდარია სამშენებლო მასალებით. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მრავლადაა ქვის საბადოები: სხვადასხვა ფერის გრანიტის, მწვანე და ყავისფერი დიაბაზის, ტუფის ქვის და ა.შ. აღნიშნული საბადოების ექსპლუატაცია მოითხოვს ინვესტირებას და ინფრასტრუქტურულ დახვეწას, რამაც უნდა განაპირობოს მათი მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენება. ყველა მუნიციპალიტეტში არსებობს ქვა-ქვიშა-ღორღის დიდი მარაგები, რომელთა ნაწილობრივ ათვისება ხდება არაგვზე და იორზე. მდინარეთა ჩამონატანმა ზოგიერთ ადგილას კრიტიკულ სიმაღლეს მიაღწია და დასახლებებს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს შეუქმნა საფრთხე. ამგვარი ჩამონატანების გატანა სახელმწიფოს და ადგილობრივ ხელისუფლებას საკმაოდ ძვირი უჯდება. საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები, რათა ამგვარი ადგილებიდან მეწარმეებს ნულოვანი ლიცენზიით შეეძლოთ ქვიშა-ხრეშის გამოტანა.

ასევე მოსაწესრიგებელია მოსახლეობის მიერ ადგილობრივი რესურსებით სარგებლობის საკითხი, როცა მათ პირადი მოხმარებისათვის ესაჭიროებათ მაგ. სამშენებლო მასალები. კონკრეტულ ადგილზე ლიცენზიანტის არარსებობის შემთხვევაში მათ რესურსით სარგებლობის უფლება არ აქვთ და ვერც მოიპოვებენ. ასეთ შემთხვევებში, სასურველია, მუნიციპალიტეტებს შეეძლოთ სათანადო ნებართვის გაცემა.

ტყითსარგებლობა

ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელია ამ რესურსების როლისა და შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ღირებულების შეფასება, მათ შორის, ქვეყნის მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანის კუთხით. 2011 წელს ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობამ 61 884 $м^3$, ხოლო 2012 წელს 45 517 $м^3$ შეადგინა. კლება გამოიწვია არა მოხმარების შემცირებამ, არამედ ტყეკაფების ადგილმდებარეობის ცვლილებებმა (მოსაჭრელი ტყის მასივების შემცირების გამო, მათი მაღალი მთის ზონაში ატანა), რამაც გარკვეულად გააძვირა შეშის ფასი.

ძალიან მწვავე თემას წარმოადგენს ტყის ლიცენზიანტების საკითხი. თიანეთის ტყეებში ჭრა სერიოზული დარღვევებით მიმდინარეობს. როგორც წესი, ხდება მოჭრილი ხეებიდან მხოლოდ საუკეთესო კომერციული მახასიათებლების

მქონე სორტიმენტის (ხის ღერო) ამოღება, მერქნული რესურსის ნაწილი კი ადგილზეა დატოვებული. ხშირია ჭრაში დაუნიშნავი ხეების დაზიანება ხის წაქცევისას, მათ შორის წითელ წიგნში შეტანილის. ფაქტობრივად, არ ხორციელდება ნარჩენების გატანა ტყეკაფიდან, მოჭრილი ხეების სიახლოვეს წარმოქმნილია ჩახერგილობები და სხვა, რაც სერიოზულ საფთხეს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობას და ტურისტებს.

არაეფექტური რეგულაციები ტყითმოსარგებლეს დანაშაულისკენ უბიძგებს და პრობლემის აღმოფხვრის საშუალებას არ იძლევა. კერძოდ, სხვადასხვა ხარისხის სამასალე მერქნის დაბეგვრა სათანადოდ დივერსიფიცირებული არ არის. არ ხდება პირობებით გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება.

მეორე პრობლემას სოციალური ჭრა წარმოადგენს. სოფლად არსებული სიღარიბე იძულებულს ხდის ადამიანებს, მოიპოვონ ტყის რესურსები უკანონოდ და არასათანადო მეთოდებით. მიუხედავად იმისა, რომ არ არის გამორიცხული, ამ ადამიანებს ესმოდეთ კიდეც, რომ მათი ასეთი მოქმედება შეიძლება გახდეს ადგილობრივ ტყეებსა და მათ საცხოვრებელ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მიზეზი, მათ სხვა შესაძლებლობა არა აქვთ. ისინი იძულებული არიან, ტყისგან მიიღონ ის, რაც უზრუნველყოფს მათ გადარჩენას უახლოეს მომავალში და არ იფიქრონ შორეულ მომავალზე.

ტყეების მდგრადი მართვა და სოციალური პრობლემების გადაჭრა სოფლის განვითარების ერთიან კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. საჭიროა ინოვაციური, არაორდინალური გადაწყვეტილებები. მაგ.: ნაყარი შეშის მოსახლეობისათვის უფასოდ გადაცემა ორმაგი ეფექტის მომტანი იქნება როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისით; შესაძლებელია მერქნული რესურსების ადგილზე დამუშავება და მზა პროდუქციის სახით შეთავაზება (გასაანალიზებელია ათეული წლების წინ არსებული პრაქტიკა სატყეო სამსახურების, როგორც მეწარმე სუბიექტების, ფუნქციონირების შესახებ).

ტყეებზე საკუთრების სტრუქტურისა (სამხარეო/მუნიციპალური) და ტყეების მართვაზე პასუხისმგებლობის გადანაწილების ან შეცვლის შედეგად, შესაძლებელია გაძლიერდეს ტყეების დაცვა, ხოლო მართვა გახდეს უფრო მდგრადი იმ შემთხვევაში, თუ ტყის მართვაში მონაწილეობას მიიღებენ თემები და სათანადოდ მოტივირებული კერძო ორგანიზაციები.

უნდა მოხდეს თემების ჩართვა ადგილობრივი ტყეების მართვაში საზოგადოების სხვადასხვა ფენის (ახალგაზრდობა, ქალები) და მათი მოთხოვნების გათვალისწინებით. მათ უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა იმ რესურსებზე, რომლებზედაც დამოკიდებულია მათი დღევანდელი და მომავალი არსებობა. საჭიროა ისეთი პილოტური პროექტების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივი თემების მიერ ტყეების კომერციულ გამოყენებას ახალი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის წყაროების შექმნისა და სიღარიბის შემცირების მიზნით.

VI. ხელისუფლება

რეგიონული ადმინისტრაცია და ადგილობრივი თვითმმართველობა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ცენტრალურ აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული – გუბარნატორი და სამხარეო ადმინისტრაცია, რომელთა უფლებამოსილება ხორციელდება ქ. მცხეთის, მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. სამხარეო ადმინისტრაციის ფუნქციებია: რეგიონის მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების მობილიზაცია; რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ორგანიზება; ინვესტიციების მოზიდვისა და რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა; ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა.

სამხარეო ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალეობისა და გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციის ამაღლების მიზნით გუბერნატორის აპარატთან ფუნქციონირებს საკოორდინაციო საბჭო გუბერნატორისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების მონაწილეობით, საბჭოსთან შექმნილია მიზნობრივი სამუშაო ჯგუფები; სამხარეო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობს ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, როგორიცაა რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციების საბჭო, არაგვის ხეობის გვარების წინამძღოლთა დარბაზი, რეგიონის უფროსკლასელთა სათათბირო და სხვა.

რეგიონული ადმინისტრაცია და ადგილობრივი თვითმმართველობები სარგებლობენ შეზღუდული ფინანსური და ქონებრივი რესურსებით. შესაბამისად, ძალზე შეზღუდულია მათი შესაძლებლობები რეგიონული განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. გარდა ამისა, საჭიროა რეგიონული ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა სტრატეგიული დაგეგმვა, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, საზოგადოებრივი მომსახურებების გაწევა და სხვ.

დასახლებებში არ მოქმედებს მოსახლეობებისთვის ადმინისტრაციული მომსახურებების გაწევაზე პასუხისმგებელი სერვისცენტრები.

VII. რეგიონის ფაქტორული ანალიზი (SWOT)

რეგიონის ფაქტორული ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
✓ გეო-ეკონომიკური მდებარეობა; ✓ მრავალმხრივი საგარეო კავშირები რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე; ✓ კარგად განვითარებული რეგიონული მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურა, საგარეო და საშინაო ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა; ✓ დედაქალაქთან სიახლოვე; ✓ ტყის რესურსები და რეგიონის ბიომრავალფეროვნება; ✓ მნიშვნელოვანი საწარმოო, ენერგეტიკული და რეკრეაციული პოტენციალის მქონე წყლის რესურსები; ✓ წიაღისეული რესურსების გარკვეული მარაგები; ✓ ტურისტული ატრაქციების მრავალფეროვნება; ✓ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, განსაკუთრებით, სათიბებისა და საძოვრებისდიდი რესურსი; ✓ ეკოლოგიურად სუფთა გარემო.	✓ რეგიონის მაღალმთიანობა და ურბანიზაციის დაბალი დონე; ✓ რეგიონში სივრცითი დაგეგმვის პრაქტიკის არარსებობა; ✓ რთული დემოგრაფიული ვითარება და მზარდი შიდა და გარე მიგრაცია; მოსახლეობის ბუნებრივი მატების უარყოფითი დინამიკა და მოსახლეობის დაბერება და დეპოპულაცია მთიან და მაღალმთიანი ზონებში; ✓ უმუშევრობისა მაღალი მაჩვენებელბი, ცხოვრების დაბალი დონე და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის არასაკმარისი ქმედუნარიანობა; ✓ მოსახლეობის უმრავლესობისთვის ჯანდაცვის სისტემის ობიექტებზე და მედიკამენტებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; ✓ სუსტად განვითარებული სოციალური მომსახურებები და ინფრასტრუქტურა; ✓ სუსტი სამოქალაქო სექტორი და რეგიონული მედიის არ არსებობა; ✓ ეკონომიკის განვითარებისა და დივერსიფიკაციის დაბალი დონე; ✓ სუსტად განვითარებული კომერციული და საბაზისო ინფრასტრუქტურა ✓ კომერციული კრედიტების სიძვირე და კაპიტალის ალტერნატიული წყაროების არარსებობა ✓ მუშახელის კვალიფიკაციის დაბალი დონე და პროფესიული განათლების მიღების შეუძლებლობა; ✓ სუსტად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურასოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე; ✓ რეგიონის მცირემიწიანობა, რელიეფის სირთულე და სასოფლო-სამეურნეო ფართობების ფრაგმენტაცია; ✓ აგროწარმოებისა და ლოჯისტიკის

	განვითარების არასათანადო დონე; ✓ ბუნებრივი კატასტროფების შეტყობინებისა და პრევენციის მართვის ქმედითი სისტემის არარსებობა; ✓ სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების შეზღუდული უფლებამოსილებები, მცირე შემოსავლები და ქონებრივი რესურსები.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
✓ პირდაპირი საგარეო კავშირები (დაძმობილებული ქალაქები, რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები - პოლონეთი, სლოვენია, ლიტვა, ლატვია, შვეიცარია); ✓ ევროკავშირის პროგრამა „მერების შეთანხმება“; ✓ სახელმწიფოს მიერ პროფესიული განათლების სისტემის სრულყოფისაკენ (მცხეთა, დუშეთი, თიანეთი) მიმართული ღონისძიებები: ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (თიანეთი-ჟინვალი, როშკა-არხოტი); ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის სრულყოფის პერსპექტივა (მსოფლიო ბანკი, სახელმწიფო პროგრამა); ✓ ტურიზმის რეგიონული მართვის სისტემის დაგეგმვის პერსპექტივა; ✓ ტურისტული ნაკადების გაზრდა; ✓ მელიორაციის განვითარების პროგრამა; ✓ საფინანსო-ეკონომიკური განვითარების დადებითი დინამიკა; ✓ საბანკო კრედიტებზე და კაპიტალის ალტერნატიულ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; ✓ რეგიონში წარმოებული პროდუქციისთვის გასაღების ახალი ბაზრების გახსნის პერსპექტივა; ✓ ინვესტორების გაზრდილი ინტერესი რეგიონის წყლის რესურსებისა და ტურისტული პოტენციალის მიმართ; ✓ საერთაშორისო ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის გაზრდა;	✓ ტრანსსასაზღვრო ურთიერთობების გართულება; ✓ პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია; ✓ საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი ✓ ბუნებრივი კატასტროფები; ✓ ეპიდემიების გავრცელება; ✓ ეპიზოოტიებისა და მცენარეული დაავადებების გავრცელება;

დარგობრივი ანალიზი

სოციალური ინფრასტრუქტურა და სერვისები

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
✓ მატერიალურ-ტექნიკურად აღჭურვილი საავადმყოფოები ყველა მუნიციპალიტეტში; ✓ ყველა მუნიციპალიტეტში შესაბამისად აღჭურვილი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის არსებობა; ✓ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმარ-თველობის ჯანდაცვის პროგრამები; ✓ სამკურნალო ფიტო მედიცინის დიდი შესაძლებლობები; ✓ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტულობა; ✓ სახელმწიფოს მზარდი მხარდაჭერა სკოლების რეაბილიტაციის საკითხებისადმი; ✓ მცხეთის რაიონში საჯარო პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაციის პროექტის დამტკიცება; ✓ გარე განათებით დასახლებებისა და მთავარი მაგისტრალების სერიოზული ნაწილის უზრუნველყოფა; ✓ მოწესრიგებული შიდა და ცენტრალური გზები. ✓ მგზავრთა გადაყვანის სისტემაში კონკურენციის არსებობა; ✓ სასმელი წყლით მოსახლეობის დიდი ნაწილის უზრუნველყოფა; ✓ მობილური სატელეფონო ქსელით, ინტერნეტითა და საფოსტო მომსახურებით რეგიონის მაქსიმალური დაფარვა.	✓ სამედიცინო სფეროში ვიწრო სპეციალისტებისა და სოფლის ექიმის ინსტიტუტის ნაკლებობა; ✓ არასაკმარისი ამბულატორიული ქსელი; ✓ დასახლებების ინფრასტრუქტურული იერსახის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; ✓ დასახლებების დიდ ნაწილში გარე განათების არარსებობა; ✓ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების უდიდესი ნაწილის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; ✓ მგზავრთა შიდა გადაყვანის სისტემაში მოძველებული და ამორტიზებული ავტოტრანსპორტი; ✓ მოუწესრიგებული ავტოსადგურები და მოძრაობის რეგულაცია; ✓ მუნიციპალურ ცენტრებს შორის პირდაპირი სამგზავრო გადაყვანების არარსებობა; ✓ რეგიონის ტერიტორიის დიდ ნაწილში მგზავრთა რეგულერული შიდა გადაყვანებისა და ტვირთების გადაზიდვების სისტემის არარსებობა; ✓ საჯარო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; ✓ მთიანი და მაღალმთიანი ტერიტორიების სოფლებისათვის საჯარო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე გართულებული ხელმისაწვდომობა; ✓ რეგიონის მასშტაბით პროფესიული განათლების სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულების არარსებობა; ✓ კულტურის ცენტრების, პარკების, სკვერების, ბიბლიოთეკების, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, სტუდიების,

	გალერეების, მუზეუმების, თეატრების, სასპორტო სკოლების/კლუბების/წრეების და საცურაო აუზების არასაკმარისი რაოდენობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; ✓ ხარისხის სტანდარტებთან სასმელი წყლის შეუსაბამობა; ✓ მუნიციპალურ ცენტრებში საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა და სოფლებში საკანალიზაციო სისტემების არარსებობა; ✓ რეგიონში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის არმქონე ნაგავსაყრელების არსებობა;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
✓ ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე სახელმწიფო რეფორმა; ✓ ჯანდაცვის მაღალი ხარისხის სისტემის განვითარება; ✓ მუნიციპალიტეტის დონეზე მაღალი ტექნოლოგიების წყლის და ჰაერის ლაბორატორიების არსებობა. მუდმივი მონიტორინგი; ✓ ელექტრო ენერგიისა და გაზიფიცირების ქსელით რეგიონის დაფარვის პროგრამა; ✓ სატრანსპორტო სისტემის განვითარება; ✓ შიდა და ცენტრალური გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; ✓ სოციალური დაცვის გაუმჯობესება. ✓ პროფესიული განათლების სისტემის ამოქმედება;	✓ სტიქიური მოვლენები, ბუნებრივი კატასტროფები; ✓ საწვავის ღირებულების ზრდა; ✓ ეპიდემიების გავრცელების შესაძლებლობები;

ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
✓ რეგიონში ტყის მასივის დიდი წილი და პირველადი ტყის ეკოსისტემა; ✓ არსებული და დაგეგმილი დაცული ტერიტორიები; ✓ ჰიდრორესურსების სიუხვე და წყლის რესურსების თვითგაწმენდის უნარი; ✓ რეგიონის მდიდარი ბიომრავალფეროვნება;	✓ გაჩეხილი ქარსაცავი და დაზიანებული მწვანე ზონის ტყეები; ✓ ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვითი ურთიერთობების არარსებობა; ✓ საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების დაბალი დონე; ✓ რეგიონში საკანალიზაციო სიტემების მოუწესრიგებლობა და გამწმენდი

✓ ნაგავსაყრელების არსებობა და ეკოლოგიურად საშიში ქიმიური, სამედიცინო და სხვა ორგანული ნარჩენების დაბალი ხვედრითი წილი; ✓ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა.	ნაგებობის არარსებობა; ✓ ნარჩენების არამდგრადი მართვა; ✓ ნაგვის შემგროვებელი ტექნიკის არასაკმარისი ოდენობა; ✓ რეგიონში ბუნებრივი კატასტროფების მართვისა და სტიქიური გეოლოგიური პროცესების პრევენციულ ღონისძიებათა ქმედითი სისტემის არარსებობა; ✓ კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადი ტერიტორიების ადაპტაციის ღონისძიებათა გეგმების არარსებობა; ✓ ტყის ხანძრების პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის საკმარისი რესურსის არარსებობა; ✓ ტყეების არადამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობა; ✓ საქონლის დაურეგულირებელი ძოვება ✓ ნარჩენების მართვასა და გადამუშავებაში ინვესტორების ნაკლები ინტერესი.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
✓ არასამთავრობო სექტორის უფრო მეტი ჩართულობა; ✓ ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე; ✓ სახელმწიფოს მიერ რეგიონულ დონეზე ტყის ხანძრების პრევენციისა და მართვის პროგრამის განხორციელება; ✓ ქარსაცავი ზოლების და მწვანე ზონის ტყეების აღდგენა; ✓ საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება; ✓ მაღალპროდუქტიული მთის სათიბებისა და საძოვრების მდგრადი მართვის ღონისძიებების გატარება; ✓ ნარჩენების მართვის ინსტიტუციური სრულყოფა; ✓ ეკოტურიზმის განვითარება.	✓ ხშირი სტიქიური მოვლენები; ✓ გლობალური დათბობა; ✓ ინფექციების წარმოშობისა და გავრცელების შესაძლებლობები.

სოფლის მეურნეობა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
✓ რეგიონის მაღალი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი; ✓ სათიბ-საძოვრების დიდი რესურსი და პოტენციალი; ✓ ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და სოფლის მეურნეობის დარგში არსებული განსაკუთრებული, პრეფერენციული დაბეგვრა; ✓ დედაქალაქთან (პოტენციურ ბაზართან) სიახლოვე; ✓ საკურორტო ზონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზების შესაძლებლობა; ✓ სასოფლო-სამეურნეო მიწების ყიდვა-გაყიდვისა და რეგისტრაციის პროცესის სიმარტივე; ✓ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისათვის ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმები; ✓ მეცხოველეობის დიდი ტრადიციები მაღალმთიან ადგილებში; ✓ ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო და ნატურალური პროდუქტები.	✓ არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები; ✓ ფრაგმენტირებული სასოფლო სამურნეო ნაკვეთები; ✓ სახნავ-სათესი სავარგულების სიმწირე; ✓ ფერმერების ნაკლები ინფორმირებულობა ტექნოლოგიებისა და ბაზრების შესახებ; ✓ კვალიფიკაციური კადრების სიმცირე; ✓ აგრარულ სესხებზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები; ✓ რეგიონის ზოგიერთი ნაწილში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობა; ✓ სასოფლო-სამურნეო დაზღვევის სისტემის განვითარების დაბალი დონე; ✓ რეგიონში მექანიზაციის ცენტრისა და რელიეფის სირთულის ადეკვატური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არარსებობა;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
✓ სასურსათო პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნა დედაქალაქში; ✓ ბიოპროდუქტებზე მუდმივად მზარდი მოთხოვნა როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე ; ✓ ტურიზმის განვითარება და შესაბამისად მოთხოვნილებების ზრდა ადგილობრივ პროდუქტზე; ✓ გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება; ✓ ინოვაციური მიდგომები სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში; ✓ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად მხარდამჭერი აქტივობები.	✓ მოსახლეობის მიგრაცია სოფლებიდან ქალაქში; ✓ სოფლის მეურნების პროდუქციის დაავადებების გავრცელება; ✓ ბუნებრივი კლიმატური კატაკლიზების დიდი ალბათობა და დაცვის მექანიზმის არ არსებობა.

ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
✓ დედაქალაქთან სიახლოვე; ✓ გადამამუშავებელი მრეწველობისთვის მრავალფეროვანი სანედლეულო ბაზის მნიშვნელოვანი მოცულობა და სიიაფე; ✓ რეგიონში ბანკების ფილიალების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების არსებობა; ✓ რეგიონში მაღალი პოტენციალის მქონე მთის და ბალნეოლოგიური საკურორტო-დასასვენებელი ადგილების არსებობა; ✓ ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარების პოტენციალი; ✓ წყლის რესურსების მაღალი საწარმოო, ენერგეტიკული და რეკრეაციული პოტენციალი; ✓ მდიდარი ენერგეტიკული რესურსები და ენერგიის ალტერნატიული წყაროები (ქარი, ბიომასა, მზე) ✓ ტყის რესურსების ბიომრავალფეროვნება, სამკურნალო მცენარეების მდიდარი რესურსების არსებობა; ✓ სამთო-მომპოვებელი მრეწველობის განვითარების შესაძლებლობები და გამოცდილება;	✓ პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა, განსაკუთრებით საგარეო ბაზარზე; ✓ პროდუქციის წარმოებისა და ადგილობრივ ბაზარზე გასაღების სუსტი ორგანიზაცია; ✓ შედარებით მოძველებული დანადგარები და ტექნოლოგიები; ✓ მოქმედი ბიზნესსუბიექტების სიმცირე; ✓ მრეწველობის სექტორის განვითარების არადამაკმაყოფილებელი დონე; ✓ ეკონომიკის არასათანადო დივერსიფიკაცია; ✓ მუშახელის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე; ✓ შრომითი რესურსების მომზადება-გადამზადების ქმედითი სისტემის არარსებობა; ✓ რეგიონიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება; ✓ ინოვაციების განვითარების უკიდურესად დაბალი დონე, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ინტენსივობა, მოწინავე ტექნოლოგიების შესახებ მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა; ✓ მოძველებული საწარმოო-ტექნიკური ბაზა; ✓ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბალი მაჩვენებლები და რეგიონის დონეზე მათი მოზიდვის ქმედითი მექანიზმების არარსებობა; ✓ რეგიონის რესურსული პოტენციალის არასრული ინვენტარიზაცია.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
✓ პროდუქციის ადაპტაცია ევროპული ბაზრის მოთხოვნებთან; ✓ საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ბაზრებზე ბიო (ორგანულ) პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა; ✓ ადგილობრივ ბაზარზე დისტრიბუციის გაუმჯობესება;	✓ პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია; ✓ გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი; ✓ რეგიონული და მუნიციპალური განვითარების გეგმების სუსტი იმპლემენტაცია; მათ განხორციელებაზე

✓ ქვეყანაში კვების მრეწველობის განვითარების პერსპექტივები; ✓ მრეწველობის (ხის დამუშავება, პლასტმასის და სამშენებლო მასალების წარმოება, საწარმოო სერვისის სფეროს) განვითარება; ✓ ტურისტული ნაკადების, ტურიზმის მიმართულებათა მრავალფეროვნების ზრდა; ✓ საბანკო კრედიტებზე და კაპიტალის ალტერნატიულ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; ✓ ხარისხზე და ექსპორტზე ორიენტირებული, მთიან რეგიონებში ახლადშექმნილი მეწარმეობის საკანონმდებლო წახალისება; ✓ მცირე ბიზნესის და აგროსესხების გაიაფებაზე ორიენტირებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამები ✓ ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაზე მიმართული სპეციალური სახელმწიფო და დონორული პროგრამები ✓ ფორმირების პროცესში მყოფი თანაინვესტირების, სუვერენული და ვენჩორული ფონდების, ასევე, მოქმედი სოფლის მეურნეობისა და რეგიონული განვითარების ფონდების ეფექტური საქმიანობა;	სუსტი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების არსებობა; ✓ ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა; ✓ სტიქიური მოვლენები.

ტურიზმი და რეკრეაცია

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
✓ იუნესკოს ძეგლი ქალაქი-მუზეუმი მცხეთა; ✓ მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალი; ✓ ძირითადი ძეგლების ცნობადობა; ✓ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციე-ლებული ინფრასტრუქტურული პროექტები ტურიზმის გასავითარებლად; ✓ უძველესი ფოლკლორი და ტრადიციები; ✓ რეგიონზე გამავალი ტრანსკავკასიური გზა;	✓ რეგიონის ტურიზმის განვითარების არასრულყოფილი მენეჯმენტი; ✓ რეგიონის ტურისტული მარშრუტების მარკეტინგის დაბალი დონე, უაღრესად დაბალი რენტაბელობა; ✓ ტურისტული საინფორმაციო ცენტრების სიმწირე; ✓ საოჯახო სასტუმროების მომსახურების დაბალი დონე და არასაკმარისობა; ✓ ადგილობრივი გიდების არასაკმარისი ოდენობა და კვალიფიკაცია; ✓ წინასწარ დაგეგმილი (გეგმიური) კულტურულ-გასართობი

✓ გეოგრაფიული მრავალფეროვნება; ✓ დაცული და რეკრეაციული ტერიტორიები; ✓ თვითმყოფადი კულტურა, ხელოვნება; ✓ ლიტერატურულ ძეგლთა ავტორების სახლ- მუზეუმები (ვაჟა-ფშაველას, დანიელ ჭონქაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, მირზა გელოვანის და სხვ.); ✓ ხალხური რეწვის ორიგინალური ნიმუშები; ✓ მსოფლიო მნიშვნელობის სამთო კურორტები.	ღონისძიებების სიმცირე და პროგრამული დაუხვეწაობა; ✓ მარკირებული ტურისტული ბილიკების სიმცირე; ✓ მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის სიმცირე. ✓ მხარის ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული თავისებურებების სუსტი კომერციალიზაცია.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
✓ ყურადღების, პრომოუშენისა ცნობადობის გაზრდა კულტურული მემკვიდრეობის ძებლებისადმი UNESCO-ს მხრიდან ✓ ტურიზმის მართვის რეგიონული სისტემის ჩამოყალიბება; საკადრო უზრუნველყოფის სისტემის ფორმირება და მუდმივი განახლება; ✓ რეგიონის ერთიანი ტურისტული სტრუქტურის შექმნა და გზამკვლევის დამზადება; ✓ ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა; ✓ საინფორმაციო ცენტრების შექმნა; ✓ საერთაშორისო და ადგილობრივ ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა; ✓ ეკო-, აგრო-, სასოფლო, სათავგადასავლო, მომლოცველობითი, კულტურული და ბიზნესტურიზმის განვითარება; ✓ მოსახლეობის ინტერესის გაღვივება ტურისტული ბიზნესის მიმართ; ✓ სასტუმროების ქსელის განვითარება; ✓ სუფთა ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნება.	✓ ბუნებრივი კატასტროფები; ✓ პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია; ✓ გლობალური და რეგიონული კრიზისები. ✓ კკონფლიქტურ ტერიტორიებთან სიახლოვე; ✓ უკონტროლო ურბანული განვითარება ტურისტულ ატრაქციებთან და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან; ✓ ზამთრის კურორტებზე/ტურიზმში მაღალი შიდა (ნაციონალური დონე) კონკურენცია.

რეგიონის ხელისუფლება და თვითმმართველობა

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
✓ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითობა; ✓ რეგიონის ადგილობრივი	✓ რეგიონული ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების შეზღუდული უფლებამოსილებები;

თვითმმართველობების განვითარების თანმიმდევრული პროცესი; ✓ სამხარეო ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობების, მუნიციპალურ ერთეულებთან საქმიანი ურთიერთობის დახვეწის მიმდინარე პროცესი; ✓	✓ რეგიონული ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების მწირი ბიუჯეტი და ქონებრივი რესურსები; ✓ რეგიონული ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურის დაუხვეწაობა; ✓ რეგიონული ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების მოხელეების კვალიფიკაცია;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
✓ სახელმწიფოს და, შესაბამისად, რეგიონული მმართველობისა და მუნიციპალური თვითმმართველობის საფინანსო-ეკონომიკური გაძლიერება;	✓ პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია; ✓ სახელმწიფო კურსის სერიოზული ცვლილებები; ✓ გლობალური და ნაციონალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისები.

VIII. რეგიონის განვითარების ხედვა, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და წინადადებები

მცხეთა-მთიანეთის მდგრადი განვითარებისათვის შემუშავებული სტრატეგიული ხედვები, პრიორიტეტები და წინადადებები ეფუძნება რეგიონის რესურსული პოტენციალის და მისი სექტორული განვითარების მრავალმხრივ ანალიზს, შესაბამის სიტუაციურ და ფაქტობრივ დიაგნოსტიკას (SWOT), რომელიც მომზადდა წინამდებარე დოკუმენტის ჩამოყალიბების პროცესში, შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე და რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით.

დიაგნოსტიკური და ფაქტორული ანალიზის, გამოვლენილი გამოწვევებისა და შესაძლებლობების საფუძველზე განისაზღვრა რეგიონის ხედვა 2021 წლისთვის.

ხედვა 2021 წლისათვის

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი 2021 წლისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც:

- ✓ ადგილობრივი რესურსული პოტენციალის (ბუნებრივი, ადამიანური, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული) კომპლექსური ანალიზის საფუძველზე ამ რესურსების ოპტიმალური გამოყენების უნარისა და შესაძლებლობების მქონე,
- ✓ რეგიონის უნიკალური (აბსოლუტური) უპირატესობის მოძიება-განვითარების ინოვაციური სქემები საფუძველზე შემუშავებული, რეგიონის განვითარების მდგრადი ეკონომიკური სისტემის შემქმნელი და მისი რეალიზაციის პროცესის ორგანიზატორი,
- ✓ შედარებით სრულყოფილი სოციალური გარემოს ჩამოყალიბების ორგანიზატორი,
- ✓ საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობითა და გენდერული თანასწორობის პრინციპების საფუძველზე შემუშავებული რეგიონული და მუნიციპალური მართვისა და თვითმართველობის დახვეწილი სტრუქტურების მქონე მხარე.

რეგიონის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების, მოსახლეობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საქმიანი წრეების ძალისხმევა აქცენტირებული იქნება შემდეგ პრიორიტეტებზე:

- გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება;
- რეგიონის ინოვაციური (კლასტერული) მდგრადი განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და

ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;

- რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მდგომარეობისა და ცხოვრების დონის ამაღლება;
- რეგიონული და მუნიციპალური მართველობისა და თვითმმართველობის სრულყოფა.

სტრატეგია მიმართული იქნება შემდეგი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე:

მიზანი 1. გარემოს დაცვა, მდგრადი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება;

ამოცანები

1.1 ბუნებრივი კატასტროფების რისკების, სტიქიური გეოლოგიური პროცესების საფრთხის და ავარიული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება და განსაკუთრებით მოწყვლადი ტერიტორიების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;

1.2 წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება, რეგულარული კონტროლი და ზედაპირული წყლებისა და ჰაერის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებების ხელშეწყობა;

1.3 ტყეების მდგრადი მართვის უზრუნველყოფა და შესაბამისი საკადრო პოლიტიკის გატარება;

1.4 გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება;

1.5 რეგიონის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის ინოვაციური სისტემების ჩამოყალიბება;

1.6 ტრანსსასაზღვრო და ტერიტორიათაშორის გარემოსდაცვით თანამშრომლობაში და საქმიანობებში რეგიონის ჩართულობის უზრუნველყოფა;

1.7 გარემოს დაბინძურების ზონირებისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება, მ.შ. რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული შესანახისა და და დეკომისირების პირობებში მყოფი ბირთვული რეაქტორის რეგიონის საზღვართან ყოფნის გათვალისწინებით;

1.8 ავტომანქანების გამონაბოლქვის უშუალოდ გარემოზე ზემოქმედების და ჰაერის დაბინძურების შემცირებაზე ზრუნვა;

1.9 ენერგოეფექტური, გარემოსდამზოგავი ტექნოლოგიების, ალტერნატიული ენერგიის წყაროების დანერგვა-განვითარება;

1.10 ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, რესურსების მართვისა და მონიტორინგის ღონისძიებების ხელშეწყობა;

1.11 ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება;

1.12 თევზჭერის, ნადირობისა და ველური მცენარეების შეგროვების მდგრად სისტემაში მოყვანა, კონტროლის ეფექტური მექანიზმების შექმნა;

1.13 მდინარეების ნაპირსამაგრი ღონისძიებების გეგმის შემუშავება და განხორციელება;

1.14 ინერტული მასალების გადამუშავებისა და სხვა საწარმოებით მდიბნარეების წყლების დაბინძურების პრევენცია;
1.15 ქარსაცავი ზოლების აღდგენა.

მიზანი 2. რეგიონის ინოვაციური (კლასტერული) მდგრადი განვითარების სისტემის ჩამოყალიბება

ამოცანები

2.1 რეგიონული ეკონომიკური რეფორმის პაკეტის შექმნა, კლასტერულ-სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპების შემუშავება და, მასზე დაფუძნებული, განვითარების პროექტების ინიცირება; რეგიონის უნიკალური კონკურენტული უპირატესობის, სამუშაო ადგილებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა;
2.2 რეგიონის სტრატეგიული განვითარების სისტემის საფუძვლის შესაქმნელად მცხეთა-მთიანეთის აქტივების რუქის შექმნა;
2.3 რეგიონის განვითარების ინტეგრირებული გრძელი, საშუალო და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება;
2.4 ინოვაციური სახელმწიფო შესყიდვების და საჯარო და კერძო სექტორებს შორის ტექნოლოგიური ტრანსფერის სტიმულების ინსტიტუციონალური სისტემის შექმნა;
2.5 რეგიონის სტრატეგიული განვითარების ადეკვატური ადგილობრივი კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების, ახალი პროფესიების დაუფლების სისტემის შექმნა;

მიზანი 3. საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

ამოცანები

3.1 მეწარმეობის იდეის პოპულარიზაცია და მეწარმეობის მსურველთა მხარდამჭერი პროექტების განხორციელება;
3.2 ახალი ბიზნესის შექმნისა და არსებულის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და მხარდამჭერი პროექტების განხორციელება
3.3 ექსპორტზე და ინოვაციებზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების წახალისება, რეგიონული კლასტერული ინოვაციის სტრატეგიული განვითარების სისტემის დახვეწა;
3.4 რეგიონის ინოვაციური კლასტერების ფინანსური ხელშეწყობის სისტემის შექმნა და წახალისება;
3.5 რეგიონული საინოვაციო და ტექნოლოგიური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ფორმირება, რეგიონში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება.
3.6 რეგიონში წარმოებული პროდუქტის ვიზუალური და ვერბალური სლოგანისა და ლოგოტიპის ფორმირება.

3.7 თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების აქტიურად გამოყენების ხელშეწყობა;
3.8 საექსპორტო ბაზარზე მომხმარებელთა ინფორმირება რეგიონში წარმოებული ხარისხიანი პროდუქტებისა და უნიკალური თვისებების შესახებ ვებ-გვერდის მეშვეობით;
3.9 საინფორმაციო პაკეტების მომზადება რეგიონის ბაზრებისა და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ, მათი გავრცელება ვებგვერდით, გამოფენებსა და ბიზნეს ფორუმებში მონაწილეობით;
3.10 რეგიონში ლოჯისტიკური სერვიცებისა და ცენტრების განვითარება.

მიზანი 4. სოფლის მეურნეობის განვითარება

ამოცანები

4.1 მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და აგროინოვაციების დანერგვა;
4.2 სასოფლო-სამეურნეო ნიადაგების კვლევა, „დიაგნოსტიკა“ და მიკრო/მაკრო ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შემუშავება;
4.3 აუთვისებელი სავარგულების ათვისება, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, სავარგულებთან მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაცია და აღურიცხავი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციის უზრუნველყოფა;
4.4 ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების შექმნა-განვითარების, საცდელ- სადემონსტრაციო ნაკვეთების ორგანიზების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების გზით, მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა;
4.5 სპეციალური ფონდის ფორმირების მხარდაჭერა, რომელიც საჯარო-კერძო პარტნიორობის სქემების ამოქმედების, ბიზნეს პროექტების დაფინანსებისა და საწარმოებზე შეღავათიანი კრედიტების გაცემის გზით, ხელს შეუწყობს რეგიონში სოფლის მეურნეობისა და აგროწარმოების პრიორიტეტული სფეროების, საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების განვითარებას, მიმღები პუნქტების, შემნახველი პუნქტებისა და გადანაწილების ცენტრის ორგანიზებას და ტექნოლოგიური ხაზების დანერგვას.
4.6 სოფლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებაზე მიმართული არსებული და მოსალოდნელი ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამებისა (მ.შ. სადაზღვევო და ფინანსური) და ფონდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება რეგიონის ფერმერებისათვის, მათში მონაწილეობასა და მიღებაში დახმარება;
4.7 ადგილობრივი მოთხოვნილებებისა და პერსპექტივების სრულად დასაკმაყოფილებლად მექანიზაციის რეგიონული ცენტრის შექმნა, აუცილებელი ტექნიკით, მ.შ. მცირეგაბარიტიანი (მთიანი და მაღალმთიანი ტერიტორიების სპეციფიკა) ტექნიკით უზრუნველყოფა;
4.8 სურსათის უვნებლობის ქმედითი სისტემის დანერგვა;

4.9 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთაშორისო და ეროვნული ცნობადობის ამაღლება, „დამბალხაჭოს“, როგორც ეროვნული არამატერიალური კულტურული ძეგლის და სხვა რეგიონული ბრენდების ექსპორტზე გატანის მხარდაჭერა; ადგილობრივი ბაზრის (თბილისი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა;

4.10 აგროწარმოების ეკოლოგიზაცია, ბიოაგროწარმოების განვითარება და როგორც შიდა, ისე გარე ბაზრისთვის ბიოპროდუქციის წარმოება. სრული ციკლის ბიოაგრარული კომპლექსების შექმნა;

4.11 ჯიშთა გამოცდისა და განახლების მეურნეობის შექმნა;

4.12 ფერმერთა გადამზადება ბიოაგროწარმოების ასპექტში, მათი ინფორმირებულობა ახალი ტექნოლოგიებისა და ბაზრების, თანამედროვე ტექნოლოგიების და ჯიშების შესახებ; გადამზადება-კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინფორმაცია-კონსულტაციის მიღების ცენტრის შექმნა;

4.13 მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, კარტოფილის, ხილის მოსავლიანობის გაზრდა ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით;

4.14 შიდა სამეურნეო გზების, სარწყავი სისტემების და აგროწარმოების სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა;

4.15 ველური სამკურნალო და არომატული მცენარეების, ტყის არამერქნული პროდუქტების (ხილი, კენკრა, სამკურნალო მცენარეები)დამზადება-გადამუშავება;

4.16 რეგიონის სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიკაცია საქართველოს განვითარების, ევროპასთან ინტეგრაციისა და საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით;

4.17 რეგიონის სოფლის კატეგორიის დასახლებებში საოჯახო მეურნეობების საქმიანობისა და მათი საჭიროებების შესწავლა; სოფლებში არსებული საქმიანობების დივერსიფიკაცია, რათა მაცხოვრებლებს ჰქონდეთ შემოსავლების სხვადასხვა წყაროებიდან მიღების შესაძლებლობა;

4.18 საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სოფლის კატეგორიის დასახლებებში და მათი იდენტობის შენარჩუნება; საზოგადოების გააქტიურება სოფლის კატეგორიის დასახლებების განვითარებაში ჩასართავად.

4.19 სანერგე და სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა

მიზანი 5. ტურიზმის მდგრადი განვითარება

ამოცანები

5.1 ტურიზმის განვითარების რეგიონული და მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;

5.2 ტურიზმის, როგორც კომპლექსური ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობების (ინფრასტრუქტურა, კადრები, წარმოება,

მომსახურება, კლასტერიზაცია, და სხვ.) შესწავლა და გამოვლენა, შესაბამისი ინიციატივების შემუშავება, განხორციელება და პოპულარიზაცია;

5.3 ტურიზმის სხვადასხვა სახეების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

5.4 ტურიზმის ეფექტური მართვისათვის, შესაბამისი სახელმწიფო გრანტებისა და პროგრამების ათვისება-განხორციელებაში კერძო სტრუქტურების ჩართვის ხელშეწყობა;

5.5 რეგიონის საკურორტო და სარეკრეაციო ობიექტების, მათთან მისასვლელი გზებისა და ინფრასტრუტურის მოწესრიგება; ისტორიული და კულტურული ძეგლებისა და ობიექტების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია და მათთვის იურიდიული სტატუსის მინიჭება;

5.6 რეგიონის მასშტაბით საინფორმაციო ინფრასტრუქტურის სრულფასოვანი მოწყობა; ქალაქებში, სოფლებში გზებზე და მაგისტრალ-ტრასებზე ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების, ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, ასევე ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის მრავალენოვანი აღმნიშვნელი (მიმართულების მიმანიშნებელი) ფირნიშების და აბრების დამონტაჟება, ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის დაფების მოწყობა;

5.7 ტურისტთა დაბინავების ადგილებისა და კვების ობიექტების (მათ შორის, სწრაფი კვების ობიექტების) მოწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;

5.8 კეთილმოწყობილი კემპინგის პუნქტების შექმნის ხელშეწყობა რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში;

5.9 ტურისტული მომსახურების ობიექტებში მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელება; ტურისტულ სფეროში დასაქმებულ პირთათვის მიზნობრივი ტრენინგების ჩატარების ორგანიზება-მხარდაჭერა;

5.10 რეგიონის მუნიციპალიტეტების ცენტრებში დამატებითი ბანკომატების განთავსების ხელშეწყობა ტურისტების საბანკო მომსახურების გაუმჯობესების, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საბანკო სექტორის თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით;

5.11 რეგიონის ტურისტული ღირშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად ინტერნეტრესურსების, ტურისტური რუკების, გზამკვლევების, ტურისტული მარშუტების, მობილური აპლიკაციების, ხმოვანი გიდების, სარეკლამო რგოლების და სხვა საინფორმაციო პროდუქტების მომზადება სხვადასხვა ენაზე;

5.12 სხვადასხვა სახის და მასშტაბის სპორტულ შეჯიბრებების, ფოლკლორული ფესტივალების, მუნიციპალიტეტების ღირშესანიშნავ დღეებზე ღონისძიებების ჩატარების მხარდაჭერა;

5.13 ადგილობრივი ტრადიციული ნაწარმისა და სუვენირების წარმოებისა და გაყიდვების რეგიონალური ქსელის განვითარება, მათი

წარმოებისას ტრადიციისა და თანამედროვე მოთხოვნების შერწყმის ხელშეწყობა;

5.14 საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მცხეთა-მთიანეთის ტურისტულ ღირშესანიშნაობებთან დამაკავშირებელი საავტობუსო მარშუტების ამოქმედება და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით (ავტობუსი, ავტომანქანა, ველოსიპედი, ა.შ.) მიღწევადობის გაუმჯობესება;

5.15 ახალი საკურორტო-რეკრეაციული სივრცეების შექმნა.

<u>მიზანი 6.</u> ეკონომიკის ინოვაციური დარგების განვითარების ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვა

<u>ამოცანები</u>

6.1 „მწვანე ბიზნესის“ განვითარება;

6.2 სოციალური მეწარმეობის განვითარება;

6.3 რეგიონში დიდი რაოდენობით არსებული ეკოლოგიურად სუფთა რესურსის (ხილი – კენკროვანი, თესლოვანი, კურკოვანი) გამოყენებისა და საკონსერვო მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა - ხილის ნატურალური წვენების, ჯემების, ჩირის დამზადების წახალისების სახით;

6.4 რძის ჩასაბარებელი პუნქტების გახსნის, შესაბამისი ხელშეწყობის აუცილებლობის, სხვა შესაძლებლობათა შესწავლა და გამოვლენა;

6.5 სამშენებლო მასალების წარმოების წახალისება და ხელშეწყობა მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული რესურსების (მოქმედი და პერსპექტიული კარიერები) გათვალისწინებით;

6.6 ალტერნატიული ენერგეტიკული პოტენციალის ქმედითი გამოყენების ხელშეწყობა;

6.7 ადგილობრივი ბიზნესების მხარდაჭერა ახალი ბაზრების და შესაძლებლობების მოძიებაში;

6.8 თანამედროვე ორგანიზებული სავაჭრო ქსელების განვითარების ხელშეწყობა;

6.9 უცხოელ და ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტებს შორის კავშირების დამყარების ხელშეწყობა; მათ შორის, საინფორმაციო ბანკის მომზადება ადგილობრივი სამეწარმეო სუბიექტების, მათი საქმიანობის პროფილისა და შესაძლებლობების შესახებ

6.10 მოქმედი და პოტენციური უცხოელი ინვესტორების კონსულტირება რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, ინვესტიციების განხორციელების ოპტიმალური იურიდიული ფორმების, ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობის, უძრავი ქონების და სხვა საკითხებზე

6.11 ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრების (უპირველესად ევროკავშირის ბაზარი) მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, - შეფუთვის, მარკირების და სხვა კუთხით

მიზანი 7. განათლების,ა კულტურისა და სპორტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანები

7.1 საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მათი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემის გადაჭრა და პედაგოგების/ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ჩამოყალიბება;

7.2 ადგილობრივ საჭიროებათა გათვალისწინებით, რეგიონში მრავალპროფილიანი პროფესიული გადამზადების ცენტრის (ცენტრების) შექმნა;

7.3 რეგიონის საჭიროებათა განსაზღვრა პროფესიული განათლების მიმართულებით და პროფესიული განათლების საჯარო კოლეჯ(ებ)ის რეაბილიტაცია და აშენება;

7.4 რეგიონის მაცხოვრებლების უნარ-ჩვევების განვითარება, მხარდაჭერა ახალი სპეციალობების შესწავლაში;

7.5 რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური სწავლებისთვის პირობების გაუმჯობესება;

7.6 რეგიონის მოსახლეობის სწავლება, წვრთნა და ტრენინგი, დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტებისა (Think Tanks) და ცოდნის ინფრასტრუქტურის მხარდამჭერი სისტემის შექმნით;

7.7 რეგიონში კულტურული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება,

7.8 რეგიონის კულტურული მემკვიდრეობისა და ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა და რევიტალიზაცია;

7.9 მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და განვითარება.

7.10 სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება, მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდა დარეგიონის ყველა ასაკის და სოციალური ჯგუფის მაცხოვრებლებისათვის თანაბარი პირობების შექმნა სპორტულ-გამაჟანსაღებელი ცხოვრებისათვის; სპორტული ნიჭის მქონე ბავშვების გამოვლენა, სკოლამდელი ფიზიკური აღზრდისა და სასკოლო სპორტის განვითარებისათვის ხელშეწყობა.

7.11 ახალგაზრდობის დასვენებისა და გართობის მრავალფეროვანი ფორმების განვითარება; რეგიონული და მუნიციპალური ახალგაზრდული ცენტრების შექმნა, ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარება.

მიზანი 8 ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის საჭირო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ამოცანები

8.1 რეგიონის მოსახლეობისთვის თანამედროვე სტანდარტების, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებული ზოგადი პროფილის საავადმყოფოების, სათემო ამბულატორიების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

8.2 გაფართოებული საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო პაკეტს ზემოთ, დამატებითი სამედიცინო სერვისების მიღებაში დახმარება და რეგიონში კერძო სამედიცინო დაზღვევის განვითარება;

8.3 სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის სრულყოფა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განახლება;

8.4 დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებისაკენ მიმართული პროგრამების, მ.შ. რეგიონში მცხოვრები და დაბრუნებული ახალგაზრდებისთვის დასაქმების სპეციალური პროგრამების ამოქმედება, ახალდაქორწინებულთა და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარება, ორსულობასთან, მშობიარობასთან და მცირეწლოვანი ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება და ა.შ. შემუშავება და განხორციელება;

8.5 მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამების შექმნა და განხორციელება, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ფინანსური დახმერება;

8.6 მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის სოციალური სახლების მომსახურეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მართვისა და მონიტორინგის რეგიონული სისტემის განვითარება

8.7 სამედიციონო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების, პირველადი ჯანდაცვის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა;

8.8. მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური სახლების ფორმირება, მართვისა და მონიტორინგის რეგიონული სისტემის ჩამოყალიბება;

8.9. ეკომიგრანტების საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა;

8.10. იძულებით გადაადგილებული პირთა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისა და საცხოვრებელი ფართის

გარეშე დარჩენილი სხვა ჯგუფების საცხოვრებელი ფართითა და თავშესაფრით უზრუნველყოფა;

8.11. რეგიონში მცხოვრები და დაბრუნებული მოსახლეობის დასაქმების სპეციალური პროგრამების განხორციელება;

8.12. სხვადასხვა მოწყვლადი სოციალური ჯგუფების (შშმ, დევნილები, ასაკიანი მოსახლეობა, ეროვნული უმცირესობები და ა.შ.) ინტეგრირება რეგიონის ცხოვრებაში;

8.13. შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება და თავისუფლად გადაადგილების პირობების შექმნა;

8.14. გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება

მიზანი 9 სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება

ამოცანები

9.1 საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, საერთაშორისო, რეგიონალური და მუნიციპალური მნიშვნელობის თანამედროვე სატრანსპორტო კვანძების შექმნა, ავტოსადგურების კეთილმოწყობა;

9.2 რეგიონის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის (მ.შ. ხიდები, გვირაბები, ტროტუარები, სამთო გზები) რებილიტაცია, ახლის მშენებლობა და რეგულარული მოვლის უზრუნველყოფა;

9.3. რეგიონში საგზაო საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება: გზებზე მოძრაობის მიმართულებების, საგზაო ნიშნების, ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის ნიშნების დამონტაჟება; ტრანსპორტის ოფიციალურ გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის დაფების მოწყობა.

9.4. ნატახტარის აეროპორტის შესაძლებლობების გამოყენება რეგიონის მაღალმთიან დასახლებებთან და საქართველოს სხვა დასახლებებთან საჰაერო კავშირის განვითარებისათვის;

9.5 მუნიციპალურ ცენტრებსა და შესაბამის დასახლებებს, მუნიციპალურ ცენტრებსა და ქ. თბილისს შორის რეგულარული პირდაპირი სამგზავრო გადაყვანებისა და სატვირთო გადატანების უზრუნველყოფა;

9.6. ზამთრის პერიოდში დუშეთი-შატილი-არხოტის შორის ვერტმფრენის საშუალებით საჰაერო კავშირის უზრუნველყოფა და მოსახლეობის ინფორმირება;

მიზანი 10 სოციალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანები

10.1 რეგიონის ტერიტორიის სივრცითი ორგანიზაციის, ტერიტორიული განვითარების სტანდარტების, მისი მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა;

10.2 სოციალურ-კულტურული და ინჟინრული ინფრასტრუქტურის რეგიონის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად განვითარება;

10.3 მოსახლეობისთვის ცენტრალური სისტემებით ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდების, ხარისხიანი და უწყვეტი ენერგომომარაგების და ბუნებრივი აირის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა;

10.4 რეგიონის ტერიტორიაზე წყალანირებისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება და საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა;

10.5 მუნიციპალიტეტებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ქმედითი სისტემის დანერგვა, ყველა დასახლებიდან ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა და „უკონტროლო“ ნაგავსაყრელების გაუქმება;

10.6 მუნიციპალურ ცენტრებსა და საკურორტო დასახლებებში ქუჩების რეგულარული დასუფთავების უზრუნველყოფა;

10.7 რეგიონის დასახლებების, ეროვნული, რეგიონალური და სასოფლო გზების გარე განათების ქსელებით უზრუნველყოფა და მათი მომსახურება, შესაძლებლობობის შემთხვევაში ამ ქსელების ელექტროენერგიით მომარაგება ენერგიის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიით;

10.9. სახანძრო-სამაშველო სამსახურების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა და ოპტიმალური განთავსება მუნიციპალიტეტებისა და რეგიონის ტერიტორიაზე, მათ შორის კოორდინაციის გაუმჯობესება; სახანძრო-სამაშველო სამსახურებში დასაქმებულების კვალიფიკაციის ამაღლება;

10.10 რეგიონში კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება.

10.11 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების მოვლა-პატრონობა, გამწვანება და განვითარება;

10.12 სასაფლაოების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფა;

10.13 მესაკუთრეების დახმარება არსებული შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და გარემოს მოვლა-პატრონობასა და განვითარებაში.

10.14 ბუნებრივი აირით სოციალური ინფრასტრუქტურის ყველა ობიექტის უზრუნველყოფა, დასახლებების მაქსიმალური გაზიფიცირება

10.15 ყველა დასახლების ელექტროენერგიის მუდმივი მიწოდებით უზრუნველყოფა

10.16 ისტორიული, კულტურული ღირებულების მქონე და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია და ახალი საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობა, დასახლებების გარეგნული იერ-სახის გაუმჯობესება

10.17. შინაური ცხოველების ყოლისა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

10.18. ყველა დასახლების ხარისხიანი და იაფი ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფა;

მიზანი 11 რეგიონული და მუნიციპალური მართველობისა და თვითმმართველობის სრულყოფა

ამოცანები

11.1. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათთვის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, ხელსაყრელი სამუშაო გარემო-პირობების შექმნა;

11.2. რეგიონისა და მუნიციპალიტეტების დონეზე სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, სისტემატიზაციის და ანალიზის სისტემის დანერგვა; განვითარების ინდიკატორების სისტემის დანერგვა;

11.5. რეგიონისა და მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიების, გეგმების, პროგრამებისა და სხვა დოკუმენტების მომზადება, მათი განხორციელება და განხორციელებაზე ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა;

11.6. რეგიონში არსებული მდგომარეობის, რესურსებისა და ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა დაინტრესებული პირისათვის;

11.7. საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის შენება და ნდობის ჩამოსაყალიბებლად მიმართული საქმიანობის წარმართვა, როგორც რეგიონული განვითარების სტრატეგიის საფუძველი;

11.8. სამხარეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების მუშაობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, გადაწყვეტილებათა პროექტების პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკისა და ელექტრონული დემოკრატიის ფორმების დანერგვა;

11.9. საჯარო-კერძო თანამშრომლობის პრინციპების დანერგვა რეგიონის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად;

11.10. რეგიონის ახალგაზრდების ჩართვა რეგიონის განვითარების საკითხებში; ახალგაზრდობის განვითარების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

11.11. საზოგადოებასთან რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლების თანამშრომლობის გაძლიერება, ურთიერთობის მრავალგვარი ფორმების დანერგვა და დახვეწა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის

ჩართულობის გაზრდა და მონაწილეობის ეფექტური მექანიზმების დანერგვა;

11.12. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციების (რეგიონული განვითარების სააგენტო, ინვესტიციების ხელშემწყობი სტრუქტურები და სხვა) შექმნა და განვითარება;

11.13. მცხეთა-მთიანეთისა და მისი მუნიციპალიტეტების რეგიონათშორისი, ტრანსასაზღვრო და საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესება;

11.14. სოფლებსა და დაბებში თანამედროვე ტიპის სერვისცენტრების (ე.წ. „სოფლის სახლები“) შექმნის ხელშეწყობა;

11.15. ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს/მედიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება და ბიზნესსექტორსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის წახალისება.